საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისის N 6679-რს დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

2021 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 6

საქართველოს მთავრობა 7

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 17

საქართველოს პროკურატურა 36

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 45

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 58

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 60

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 96

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 98

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 110

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 114

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 115

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 116

საზოგადოებრივი მაუწყებელი 117

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 118

მუნიციპალური ორგანოები 118

შეჯამება 121

შესავალი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ანგარიში შეიცავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას. აღნიშნული აქტებით პარლამენტი აფასებს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს.[1] უწყებების მიერ პარლამენტის დავალებების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეაფასოს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე, 2020 წლის 29 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება[2] და დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო უწყებებისა და თვითმართველობის ორგანოებისთვის, პარლამენტის მიერ მიცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს 335 რეკომენდაციით მიმართა. საქართველოს პარლამენტმა, 2020 წლის 29 ივნისის დადგენილებით, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, სახელმწიფო უწყებებს 305 დავალება მისცა.[3] პარლამენტმა დადგენილებაში სახალხო

---

[1] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის პირველი პუნქტი

[2] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისის N 6679-რს დადგენილება, „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

[3] აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პარლამენტმა სახალხო დამცველის 305 რეკომენდაცია გაიზიარა. 305 საპარლამენტო დავალებიდან 27დავალება არ ფასდება, როგორც პარლამენტის მიერ გაზიარებული რეკომენდაცია, ვინაიდან არ შეესაბამება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს. დამატებით, პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ გაცემული 6 რეკომენდაციის ტექსტის ახლებური ფორმულირებით 18 საპარლამენტო დავალება გასცა, ხოლო დადგენილებაში ასახული სამი დავალება საერთოდ არ ეფუძნება სახალხო დამცველის რომელიმე რეკომენდაციას. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული 305 დავალება, სახალხო დამცველის 263 რეკომენდაციიდან გამომდინარეობს.

დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 78.5%[4] გაიზიარა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემი წინა წლის მონაცემთან შედარებით მცირედით გაზრდილია. კერძოდ, 2019 წლის დადგენილებაში საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 78% გაიზიარა.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ 29 ივნისის დადგენილებაში პარლამენტმა არ ასახა სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშის 45 რეკომენდაცია. პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისის დადგენილებისა და 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილების[5] შედარების საფუძველზე ტენდენციის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახალხო დამცველის ის რეკომენდაციები, რომლებიც პარლამენტმა არ ასახა როგორც 2019 წლის, ასევე 2020 წლის დადგენილებებში თემატიკის მხრივ მსგავსია. კერძოდ, ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის მიზანი იყო მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე განათლების უზრუნველყოფა, სკოლის მოსწავლეთა რელიგიური ინდოქტრინაციისგან დაცვა. 2019 წლის დადგენილების მსგავსად, 2020 წლის დადგენილებაშიც ასევე არ ასახულა სახალხო დამცველის ის რეკომენდაციები, რომლებიც ძალოვან უწყებებს გამჭირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებდა. მაგალითად, როგორიცაა: სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავების სამხრე კამერებით აღჭურვა; პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა; პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტს 35 წინადადებით მიმართა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული წინადადებების შესრულების საკითხზე მსჯელობისთვის, საქართველოს პარლამენტში, დადგენილებით განსაზღვრული[6] სამუშაო ჯგუფი ამ დრომდე არ შექმნილა, ხოლო 2018 წლის ანგარიშით გაცემული წინადადებების გაზიარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მხოლოდ ერთხელ გაიმართა

---

[4] 2020 წლის 20 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < https://bit.ly/36L4nYo >) დავალებების გაზიარების მაჩვენებელი უფრო მაღალი პროცენტით - 80% -ით იყო წარმოდგენილი. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის და მათგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად აღნიშნული მონაცემი მცირედით 78.5 % -მდე დაკორექტირდა.

[5] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N5003-Iს დადგენილება, „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

[6] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისის N 6679-რს დადგენილება, „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, პუნქტი 18.

და მას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.[7] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რეკომენდაციები და წინადადებები სისტემური ხასიათის პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, ამდენად მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებთ, სამუშაო ჯგუფი დროულად შეუდგება საქმიანობას და აქტიურად გადაიდგმება ნაბიჯები ჩვენს მიერ გაცემული წინადადებების შესასრულებლად.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ასახული 305 დავალების შესრულების შეფასებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების ტექსტის ფორმულირების ან ადრესატი უწყების ცვლილების გამო, 305 საპარლამენტო დავალებიდან 32 დავალება არ დაექვემდებარა შეფასებას. კერძოდ, 27 საპარლამენტო დავალებასთან მიმართებით საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო უწყებებს, სახალხო დამცველის რეკომენდაციებისგან განსხვავებული მიზნები დაუდგინა. 2 დავალების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციების ადრესატი უწყება შეცვალა, ხოლო დამატებით 3 დავალება არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციებიდან. აღნიშნულის გამო, დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის შესაბამისი, რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, შეუძლებელია დამატებით 15 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი ყველა სახელმწიფო უწყებას შეახსენებს, რომ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ისინი შებოჭილნი არიან ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანოს აკისრია. მნიშვნელოვანია, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოხატოს პოლიტიკური ნება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, რაც შემდგომში უზრუნველყოფს წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას.

აღსანიშნავია, რომ 5 საპარლამენტო დავალების შესრულება, ცალკეული სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ იყო შესაძლებელი. აღნიშნულის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში, კოვიდ-პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა იყო.

[7] სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2020 წლის 24 თებერვალს.

წინამდებარე ანგარიშში სახელმწიფო უწყებების მიხედვით წარმოგიდგენთ ინფორმაციას თითოეული საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება ეფუძნება შემდეგი წყაროებისგან მიღებულ ინფორმაციას.

- სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;
- სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგები;
- სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- საჯარო სივრცეში განთავსებული ოფიციალური ინფორმაცია;
- სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პოზიციები სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციები.

განსახილველი ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობა, შეფასდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან,[8] 2021 წლის პირველი მარტის ჩათვლით არსებული მდგომარეობით. უწყებების მიერ თითოეული დავალების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილი იქნება პარლამენტის დადგენილების ქრონოლოგიის მიხედვით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, სპეციალურ ანგარიშზე მუშაობის პროცესში, საპარლამენტო დავალების ადრესატი ყველა უწყებისგან გამოითხოვა ინფორმაცია. აპარატმა, საპარლამენტო დავალებების შეფასების მიზნით რამდენჯერმე დამაზუსტებელი შეკითხვებითაც მიმართა უწყებებს.

დამატებით, ანგარიშში დანართის სახით წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

[8] 2020 წლის 9 ივლისი.

საქართველოს მთავრობა

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს მთავრობის მიმართ 23 დავალება გაიცა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპარლამენტო დადგენილებაში ასახული რეკომენდაციის ტექსტის ცვლილებამ ოთხ შემთხვევაში შინაარსი გამოაცალა სახალხო დამცველის რეკომენდაციას, შესაბამისად იგი შეფასდა როგორც პარლამენტის მიერ არ გაზიარებული რეკომენდაცია. ასევე, აღსანიშნავია რომ ერთი დავალება საერთოდ არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან.

საქართველოს მთავრობის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულდა: 0
- არ შესრულდა: 13
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 5
- პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო შეფასებას არ ექვემდებარება: 3
- რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას: 1
- არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან: 1

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალებები:

ა) შეიმუშაოს გეგმა, რომლის მიზანი იქნება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს სტამბოლის ოქმით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება და მისი დროულად ჩატარების უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, არ შემუშავებულა გეგმა, რომელიც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს უზრუნველყოფდა სტამბოლის ოქმით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებას;

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) დაიწყოს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებული ანგარიშის მომზადება და წარდგენა.

„წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ" (CAT) კონვენციის შესრულებაზე ანგარიში საქართველოს 2011 წელს უნდა

წარედგინა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დავალება არ არის შესრულებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) განსაზღვროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ფსიქოლოგების სპეციალიზაციაში მომზადებისა/გადამზადებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავებისთვის პასუხისმგებელი უწყება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ფსიქოლოგების სპეციალიზაციაში მომზადებისა/გადამზადების მიმართულებით, ასევე ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით, რელევანტური საქმიანობა არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

დ) „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შეიმუშაოს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის წესი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ე) გააგრძელოს მუშაობა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად.

საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად, გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები, <u>შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა და ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური ნაგებობები ისტორიულ მესაკუთრე რელიგიურ გაერთიანებებს დაუბრუნდეს</u>*

საქართველოს სახალხო დამცველის მიზანი, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეების დაბრუნების პროცესში ეფექტიანი ღონისძიებების და ახალი კანონმდებლობის შემუშავება იყო, რომელიც არსებულ რელიგიურ ნაგებობებს, ისტორიულ მესაკუთრე რელიგიურ გაერთიანებებს დაუბრუნებდა. რეკომენდაციის ტექსტში განხორციელებული არსებითი ცვლილების შედეგად,

საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს მთავრობას მხოლოდ მუშაობის გაგრძელება დაავალა, რაც არ წარმოადგენდა რეკომენდაციის მიზანს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

3) გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან; ადამიანის უფლებათა სფეროში, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის კუთხით სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებისას გააძლიეროს რელიგიათა საბჭოს ჩართულობა.

ა) საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *გაძლიერდეს თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან. ადამიანის უფლებათა სფეროში, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფელბიანობის კუთხით არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს <u>დაეფუძნოს</u>*

საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა. კერძოდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის კუთხით არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს კონსულტაციებს უნდა დაფუძნებოდა, ხოლო დავალებით, მხოლოდ რელიგიათა საბჭოს ჩართულობის საკითხი განისაზღვრა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან კონსულტაციის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში გაგზავნილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება რომ, საქართველოს მთავრობას არ გაუძლიერებია თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან, შესაბამისად დავალება არ არის შესრულებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ზ) გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განსაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება უფლებადამცველთა მიმართ ძალადობის პრევენციისკენ, გამოვლენისა და აღკვეთისკენ.

ა) საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განისაზღვროს კონკრეტული საქმიანობები, რომლებიც <u>მიმართული იქნება ქალთა და ლგბტ+</u> პირთა უფლებადამცველების მიმართ ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთისაკენ, მათ შორის, გაეროს გენერალური ასამბლეის №A/RES/68/181 რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებები სამოქმედო გეგმებში აისახოს და შესრულდეს.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა მთავრობას დაავალა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განესაზღვრა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნებოდა, უფლედამცველთა მიმართ ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთისკენ. აღნიშნული დავალება სრულად არ ასახავს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. კერძოდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციაში სპეციფიურად იყო მოხსენიებული ქალთა და ლგბტ+ პირთა უფლებადამცველების დაცვის, ასევე სამოქმედო გეგმებში გაეროს გენერალური ასამბლეის №A/RES/68/181 რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებების ასახვის საკითხები.

შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წლის მარტში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის (განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში) გაძლიერებისთვის საჭირო ამოცანებს. თუმცა, საქართველოს მთავრობის პოზიციით სტრატეგიაში, ისევე, როგორც უფლებათა დაცვის ეროვნულ სამთავრობო გეგმაში უფლებადამცველების მიმართ ძალადობის პრევენციისთვის ღონისძიებების განსასაზღვრად საჭიროა საკანონმდებლო სივრცეში არსებობდეს „უფლებადამცველის" სამართლებრივი დეფინიცია, შესაბამისად ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში არ იქნება განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება უფლებადამცველთა მიმართ ძალადობის პრევენციისკენ, გამოვლენისა და აღკვეთისკენ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

თ) უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გამკაცრების მიზნით განსახილველად წარდგენილი ნორმატიული აქტების პროექტების დროულად განხილვა და მიღება;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობას, არ მიუღია მის მიმართ განსახილველად წარდგენილი ნორმატიული აქტები, რომლებიც ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გამკაცრებას ეხებოდა. ბუნებრივი გაზის შიდა ქსელის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის გამკაცრების ზომებთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების პროექტების პაკეტი წარედგინა საქართველოს მთავრობას განსახილველად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ 2019 წლის 1 ნოემბერს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ი) განსაზღვროს საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთების წესები და მათ დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ არ შემუშავებულა საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთების წესები, აგრეთვე არ განსაზღვრულა აღნიშნულ წესებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

კ) შეიმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენერგორესურსებით რაციონალური სარგებლობისა და მათი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ, ენერგორესურსების რაციონალური სარგებლობისა და მათი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის პროცესი ამ დრომდე არ არის დაწყებული. გვეცნობა, რომ ენერგორესურსებით რაციონალური სარგებლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 და 2016 წლის 30 დეკემბრის № 629 დადგენილებების შესაბამისად პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით მუშაობის დაწყება იგეგმება მომავალ წელს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ლ) საქმიანობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უზრუნველყოს შესაბამისი ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის ხარჯთსარგებლიანობისა და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების კვალიფიციური შესწავლა და შეფასება, აგრეთვე შესწავლის შედეგების საზოგადოებისთვის ეფექტიანი ხელმისაწვდომობა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა შესწავლილი ყველა ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტის დოკუმენტაცია. ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ არ უპასუხა დავალების შესრულების შეფასების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასმულ კონკრეტულ შეკითხვებს. შესაბამისად, რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას</u>

მ) შექმნას სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც შეაფასებს საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ საჭიროებებს, განსაზღვრავს შესაბამის უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკას და ზედამხედველობას გაუწევს მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ამ დრომდე არ არის შექმნილი სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ გამოწვევებს შეაფასებს და ამ მიმართულებით განახორციელებს ცალკეულ საქმიანობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ნ) შექმნას პროგრამა, რომელიც იმუშავებს ბავშვთა სუიციდის პრევენციისთვის, ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სუიციდის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების, სტრატეგიული ხედვისა და სამოქმედო გეგმის მომზადებაზე*

საქართველოს კანონი - „ბავშვის უფლებათა კოდექსი" არ ითვალისწინებს ბავშვთა სუიციდის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი პროგრამის შექმნის გარანტიებს, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის შექმნა არა საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის ტექსტში განხორციელებული არსებითი ცვლილების გამო, იგი არ ფასდება გაზიარებულად. კერძოდ, სახალხო დამცველის მიზანი იყო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილიყო შესაბამისი კომისია, რომელიც არა მხოლოდ იმუშავებდა სუიციდის პრევენციის საკითხებზე, არამედ წარმოადგენდა სტრატეგიულ ხედვას, აგრეთვე პასუხისმგებელი იქნებოდა ღონისძიებების დაგეგმვასა და სამოქმედო გეგმის მომზადებაზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ო) ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შეიმუშაოს სრულწლოვანების ასაკს მიღწეული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ბენეფიციარების მხარდაჭერისა და ზრუნვის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ახალგაზრდების უფლებების დაცვას, საზოგადოებაში ინტეგრაციას და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას.

სოციალური რეაბილიტაციის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N825 დადგენილებას დაემატა ორი ახალი ქვეპროგრამა „სახელმწიფო ზრუნვიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამა" და „სახელმწიფო ზრუნვიდან გასული 18-21 წლამდე

ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა". ქვეპროგრამების მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების დამოუკიდებელ ცხოვრებას, უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობით. აგრეთვე სამიზნე ჯგუფის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფით. ქვეპროგრამების ფარგლებში, 2021 წელს მომსახურება გათვალისწინებულია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 50 ახალგაზრდისათვის.

იმის გათვალისწინებით რომ ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა წრე ლიმიტირებულია და იგი არ აღემატება 50 ახალგაზრდას, დავალება ვერ შეფასდება სრულყოფილად შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

პ) შეიმუშაოს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის პროგრამა ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.*

საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შეფასების არსებით ინდიკატორში ცვლილებები შეიტანა. კერძოდ სახალხო დამცველის მიზანს ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება წარმოადგენდა, ხოლო საქართველოს პარლამენტმა ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად, პროგრამის შემუშავება დაავალა საქართველოს მთავრობას. შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციას ნაწილობრივ გაზიარებულად აფასებს

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობას, ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად არ შეუმუშავებია პროგრამა, რომელიც სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვას უზრუნველყოფდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჟ) სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კონცეფციაზე დაყრდნობით, დანერგოს შესაბამისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურება ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის მიერ 2020 წელს შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია, რომელიც მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 სექტემბრის N1825 განკარგულებით.

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი შეიქმნა. 2021 წლის განმავლობაში ცენტრი საპილოტე რეჟიმში ამუშავდება და მომსახურებას გაუწევს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს.

იმის გათვალისწინებით რომ დავალებაში გათვალისწინებული სერვისი ამ დრომდე სრულყოფილად არ მიეწოდება ბავშვებს, მაგრამ განხორციელებული საქმიანობა აშკარად მიუთითებს სახელმწიფო უწყების ძალისხმევაზე, მთავრობას, დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ჩაეთვლება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

რ) ოჯახში ძალადობის კუთხით პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დანერგოს რეფერირების მექანიზმის შეფასების ინსტრუმენტი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, შესაბამისი უწყებების და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანამშრომლობით, მიმდინარეობს მუშაობა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტის შემუშავების მიზნით.შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულია, დავალება ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ს) დანერგოს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო რესურსცენტრებს დარღვევის ფაქტების დროულად გამოვლენის შესაძლებლობას მისცემს.

სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ არ არის დანერგილი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მონიტორინგის მექანიზმი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ტ) დაიწყოს მუშაობა არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და მათ მიერ ახარტული თამაშობების თამაშის პრევენციის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროგრამების შექმნისთვის.

სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ სახალხო დამცველის პარლამენტში წარდგენილი პოზიციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ დრომდე არ არის მუშაობა დაწყებული

არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და მათ მიერ აზარტული თამაშების პრევენციის უზრუნველსაყოფად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

უ) გააგრძელოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ფორმალური განათლებისა და არაფორმალური განათლების, სოციალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ფსიქოსოციალური მომსახურების ხელშემწყობი სერვისების დანერგვა, მათ შორის, გაზარდოს საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სოფლების ამბულატორიების რაოდენობა, მოაწესრიგოს სასკოლო ინფრასტრუქტურა და სპორტული ინფრასტრუქტურა, სოფლებში მცხოვრები ბავშვებისა და სხვა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ფსიქოლოგის მომსახურება;

2019–2020 წლებში აშენდა, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 400-ზე მეტ სოფლის ამბულატორიას, რომელთა ნაწილი განლაგებულია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ 2020 წელს განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში და კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროშო საჯარო სკოლების პროექტირება/მშენებლობა. ფონდის მიერ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო სკოლის მშენებლობა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში. აგრეთვე მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევსა და სოფელ მეღვრეკისში (სარგებლობს სოფელი ერგნეთიც). რაც შეეხება სპორტულ ინფრაქტრუქტურას, 2020 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სპორტული ინფრასტრუქტურა არ აშენებულა. სამწუხაროდ საანგარიშო პერიოდში ფორმალური და არაფორმალური განათლების, ასევე სოციალური კეთილდღეობის და ფსიქოსიციალური მომსახურების სერვისები არ დანერგილა. შესაბამისად, დავალების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ წარმოადგენს მისი შესრულების თვითკმარ საშუალებას, შესაბამისად იგი ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ფ) გააძლიეროს სახელმწიფო უწყებების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობა.

საქართველოს მთავრობისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *საქართველოს სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად, წარმოადგინოს ხედვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმა*

საქართველოს სახალხო დამცველის მიზანს, გაცემული რეკომენდაციით წარმოადგენდა, ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის

ხელშესაწყობად შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტს, მან არსებითად შეცვალა რეკომენდაციის მიზანი, რის შედეგადაც რეკომენდაცია არ ფასდება გაზიარებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ქ) უზრუნველყოს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;

აღნიშნული დავალება არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთ რეკომენდაციიდან, შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ღ) გააგრძელოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაციის/კომპენსაციის სამუშაოები და გააძლიეროს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიების პროგრამები.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მუშაობის ფარგლებში 2019 წლის 19 სექტემბერს დაიწყო „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოების დაფინანსებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზეა ორიენტირებული. პროექტის ფარგლებში გამოყოფილია 500 000 ამერიკული დოლარი, რომელიც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებულებს გადაეცემა. იმის გათვალისწინებით რომ აღწერილი საქმიანობა არ მიემართება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაციის/კომპენსაციის სამუშაოებს, დავალება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ 49 დავალება გაიცა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის დაბალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ უწყება ვალდებული იყო კანონით დადგენილ ვადაში მოეწოდებინა ინფორმაცია, სამინისტროს არ მოუწოდებია საპარლამენტო დავალებების შეფასების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია. სახალხო დამცველის აპარატის მიერ, იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა შეფასდა, უწყების მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

სახალხო დამცველის აპარატში არსებული მონაცემების საფუძველზე ქვემოთ წარმოგიდგენთ იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული 49 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის სტატუსს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულდა: 4
- არ შესრულდა: 36
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 5
- ობიექტური საფუძვლით შეფასებას არ ექვემდებარება: 1
- პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო შეფასებას არ ექვემდებარება: 3

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომაროების დინამიკა წინა წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალებები:

ა) სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტაროს მოკლე ინსტრუქტაჟი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და უფლებამოსილებების შესახებ

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„უზრუნველყოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და აღმოფხვრას ყველა ის შეზღუდვა და დაბრკოლება, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით არსებობს. ამასთანავე, დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ მოკლე ინსტრუქტაჟი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და უფლებამოსილებების შესახებ“*

საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მხოლოდ ბოლო, დასკვნითი ნაწილი გაიზიარა, შესაბამისად რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარებულად ფასდება.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში დადგინდა, რომ სახელმწიფო უწყებას დავალების შესრულების მიზნით, 2020 წელს რელევანტური საქმიანობა არ განუხორციელებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ბ) ყველა პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლები ეტაპობრივად გადაამზადოს ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის პრინციპები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები არ გადამზადებულან ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია. ასევე მათ არ ჩატარებიათ შესაბამისი სწავლება, პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის პრინციპების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

გ) მიიღოს ყველა ზომა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ძალადობის მსხვერპლი პატიმრების დასაცავად

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა რომ, 2020 წლის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ძალადობის მსხვერპლი პატიმრების დასაცავად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქმედითი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

დ) დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებისას უზრუნველყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმისა და პენიტენციური დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომელთა ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/ აღმოსაფხვრელად; დეესკალაციის ოთახში შექმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლებისა და იატაკის რბილი მასალით მოპირკეთებით

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი; დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების*

თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად; დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლებისა და იატაკის რბილი მასალით მოპირკეთებით"

საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის არსებითი კომპონენტი. კერძოდ, სახალხო დამცველის იუსტიციის სამინისტროს მიუთითებდა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულიყო 24 საათი, აღნიშნული კი პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში არ აისახა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) სახალხო დამცველის აპარატთან არსებული, პრევენციის ეროვნული მექანიზმის, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება რომ კვლავ ადგილი აქვს პატიმართა დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი დროით დაუსაბუთებელ მოთავსებას, ასევე სრულყოფილად არ არის უზრუნველყოფილი მათთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდება, ხოლო არსებული ფიზიკური გარემო, კვლავ არ არის უსაფრთხო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ე) განსაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმის ვალდებულება, პირისადმი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აპარატს

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ, 2020 წლის 30 ნოემბერს მიღებულ №663 ბრძანებას - ,,პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ." აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლით განისაზღვრა პენიტენციური დაწესებულების ექიმის ვალდებულება, პაციენტის შემოწმებისას წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის შესახებ ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ვ) პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულ ყველა ექიმს, რომლებიც ახდენენ პირის დაზიანების დოკუმენტირებას, ჩაუტაროს ტრენინგი დაზიანების დოკუმენტირებასა და ფოტოგადაღებაში

2020 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ ექიმებს, რომლებიც ახდენენ პირის დაზიანების დოკუმენტირებას, არ ჩატარებიათ ტრენინგი, დაზიანების დოკუმენტირებასა და ფოტოგადაღებაში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ზ) პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელთა გადატვირთვის გარეშე უზრუნველსაყოფად

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი"*

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცა კონკრეტული მითითება, რომლის მიხედვითაც, პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა უნდა გაზრდილიყო იმ ოდენობით, რაც 15 პატიმარზე, ერთ წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ თანამშრომლის არსებობას უზრუნველყოფდა. რეკომენდაციის ტექსტში განხორციელებული ცვლილებით, დავალებაში აღნიშნული რაოდენობრივი ინდიკატორი არ არის გათვალისწინებული.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) იუსტიციის სამინისტროს მიერ, დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ 2020 წლის განმავლობაში, პირველ სამ თვეში, სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 34 ერთეულით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს დავალების შესრულების თვითკმარ საშუალებას, ასევე სახელმწიფო უწყებას, წლის დანარჩენ ნაწილში რელევანტური საქმიანობა არ განუხორციელებია, დავალება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

თ) გააძლიეროს მუშაობა კრიმინალური სუბკულტურის პრევენციისთვის;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, უზრუნველყოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება და სახალხო დამცველის აპარატისთვის გაზიარება მოსაზრებების წარსადგენად"*

აღნიშნული რეკომენდაციის ფარგლებში სახალხო დამცველის მიზანი, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება იყო. საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება არ შეესაბამება სახალხო დამცველის რეკომენდაციის ძირითად სულისკვეთებას, შესაბამისად იგი არ არის გაზიარებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ი) დახვეწოს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ფორმა და დისციპლინური ბრალდების შესახებ ოქმის ფორმა

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ფორმაში შეიტანოს სავალდებულოდ შესავსები პუნქტი, სადაც ჩაიწერება, ჩაიბარა თუ არა პატიმარმა დოკუმენტი; ასევე შემუშავდეს დისციპლინური ბრალდების შესახებ ოქმის ფორმა, რომელშიც შესატანი იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვინ და რა ფაქტის გამო, და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იწყებს დისციპლინურ სამართალწარმოებას კონკრეტული პატიმრის მიმართ"*

საქართველოს პარლამენტმა, იუსტიციის სამინისტროსთვის მიცემულ დავალებაში არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის არსებითი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ფორმაში შეტანილი იქნებოდა სავალდებულო პუნქტი, სადაც ჩაიწერებოდა, ჩაიბარა თუ არა პატიმარმა დოკუმენტი; ასევე დავალებაში არ მიეთითა ოქმში შესაბამისი ინფორმაციის მითითების აუცილებლობის შესახებ, რომლის შედეგადაც ოქმშივე იქნებოდა აღწერილი დისციპლინური სამართალწარმოების სამართლებრივი საფუძველი და არსებული მტკიცებულებები.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესახებ განკარგულების და დისციპლინური ბრალდების შესახებ ოქმის ფორმებში არ განუხორციელებია დავალებაში მითითებული ცვლილებები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

კ) თითოეული პატიმრის 4 კვ. მ საცხოვრებელი ფართობით დასაკმაყოფილებლად აქტიურად გადადგას ნაბიჯები №2, №8, №14, №15 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების საკნებში თანაბარი გადანაწილებისა და იმავე ტიპის სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანისთვის, პატიმართა საცხოვრებელი ადგილების გათვალისწინებით.

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> „თითოეული პატიმრის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებლად, <u>უზრუნველყოს</u> №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი პატიმრების საკნებში თანაბარი გადანაწილება და გადაყვანა იმავე ტიპის სხვა დაწესებულებებში, პატიმართა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით"

საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში არსებითად შეიცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეფასების არსებითი კრიტერიუმი. კერძოდ სახალხო დამცველის მიზანს პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება წარმოადგენდა, ხოლო პარლამენტმა სამინისტროს ამ მიმართულებით მხოლოდ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაავალა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი მინიმალური საცხოვრებელი ფართით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წლის ივნისში დაიწყო ლაითურის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა. აღნიშნული კი სამომავლოდ ხელს შეუწყობს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირების მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, მაგრამ ამ ეტაპზე არ არის ცნობილი ზუსტი თარიღი, როდის დასრულდება მისი მშენებლობა. შესაბამისად, ამ დროისთვის საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება არ არის შესრულებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ლ) №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გააუქმოს ე. წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა რამდენიმე 30 კაციანი საკნის რეკონსტრუქცია. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უწყება აცხადებს, რომ ე.წ ბარაკის ტიპის საცხოვრებელი გაუქმებულია.

მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, შესრულებულად შეაფასოს დავალება, იმდენად რამდენადაც კვლავ ბუნდოვანია იმ საკნებში მოთავსებული პატიმრების მდგომარეობა, რომლებიც მრავალ პატიმარზეა გათვლილი (20 და მეტი).

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

მ) უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის №2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ ანგარიშსა და №3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში მითითებული, ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების შემოწმება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება რომ N2 დაწესებულებაში გარემონტდა 19 საკანი, საშხაპე ოთახებით, ასევე მოეწყო მოკლევადიანი შეხვედრებისთვის განკუთვნილი 14 ოთახი. N14 პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა ბარაკების ტიპის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია, ასევე კარანტინის ოთახებისა და სამარტოო საკნების რემონტი. სამარტოო საკნები აგრეთვე გარემონტდა N15 პენიტენციურ დაწესებულებაში. N2 და N14 დაწესებულებებში კი დასრულდა ბუფერული ზონების უსაფრთხოების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები. საგულისხმოა რომ აღნიშნული საქმიანობა სამინისტრომ 2019 წელს შეასრულა.

№2, №8, №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ ანგარიშსა და №3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში მითითებული, ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კი 2020 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშესახები საქმიანობა არ განუხორციელებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ნ) მიიღოს ყველა ზომა, რათა დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა;

ო) მიიღოს ყველა ზომა №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიერ დღის განრიგით გათვალისწინებულ პერიოდში გასეირნების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის დეპარტამენტის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება რომ, დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს არ ეძლევათ 1 საათზე მეტი დროით სუფთა ჰაერზე ყოფნის საშუალება. ასევე მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროს არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიერ დღის განრიგით გათვალისწინებულ პერიოდში გასეირნების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ნ“ და „ო“ დავალებები არ არის შესრულებული</u>

პ) უზრუნველყოს №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდით მათი რაოდენობის პატიმართა რაოდენობასთან დაბალანსება;

2020 წელს სოციალური მუშაკების რიცხოვნება (შემთხვევის ადმინისტრატორები და შემთხვევის მმართველები) 90-დან 120-მდე გაიზარდა. ასევე 2020 ოქტომბრის დასაწყისში საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდზე გამოცხადდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტში 27 ვაკანსია (65 პოზიციაზე).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონკურსი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ჩავარდა და პენიტენციურ დაწესებულებებში არ გაზრდილა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა, სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს იუსტიციის სამინისტროს მცდელობას, გაეზარდა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჟ) უზრუნველყოს „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად არ გადაუმზადებია ის სოციალური მუშაკები, რომლებსაც ამ სფეროში არ აქვთ ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

რ) უზრუნველყოს №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების დანერგვა, გაზარდოს სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მსჯავრდებულთა ჩართვის შესაძლებლობა

ს) უზრუნველყოს №3 პენიტენციურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო ღონისძიებების დანერგვა და მათში მსჯავრდებულთა ჩართვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, არ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო პროგრამები. სახალხო დამცველის შეფასებით პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული განსაკუთრებული პირობები ვერ იქნება დავალების შეუსრულებლობის გამართლება, რადგან შესაძლებელი იყო რიგი სარეაბილიტაციო პროგრამების დისტანციურად განხორციელება. ასეთი პროგრამების განხორცილებას დადებითი ეფექტი ექნებოდა პატიმრებზე, განსაკუთრებით პანდემიის ფონზე. სახალხო დამცველი ანალოგიურად აფასებს იმ დავალების შესრულების მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც სამინისტროს უნდა უზრუნველეყო №3 პენიტენციურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო ღონისძიებების დანერგვა და მათში მსჯავრდებულთა ჩართვა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის „რ" და „ს" დავალებები არ არის შესრულებული.</u>

ტ) პატიმრისთვის სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად დაიწყოს მუშაობა ისეთი მექანიზმის შემოღებისთვის, რომლის შედეგად მოხდება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირება ან სასჯელის სახის შეცვლა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე,

ხორციელდება საზღვარგარეთის პრაქტიკის და გამოცდილების შესწავლა და ანალიზი, რომელიც შესაბამისობაში მოვა და მოერგება ქართულ რეალობასა და მართლმსაჯულების სისტემას. სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს აღნიშნულ საქმიანობას და მოუწოდებს სამინისტროს გააძლიეროს აქტივობა ამ მიმართულებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

უ) მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმებს დაუმატოს ისეთი ელემენტები, რომლებიც ეხება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს;

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმებს არ დამატებია ისეთი ელემენტები, რომლებიც ეხება მათ სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ფ) გაზარდოს სოციალური მუშაკის როლი, რათა სოციალურმა მუშაკმა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიღების შემდეგ დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურები, სათანადო პერიოდულობით, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე, მათ შორის, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ბროშურის სახით მიაწოდოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს და გამოაკრას პატიმრისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა სოციალური მუშაკის როლი, რაც შედეგად პატიმრებისთვის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ხარისხს გააუმჯობესებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ პანდემიის ფონზე, სოციალური მუშაკების როლი არათუ გაიზარდა, არამედ პირიქით შემცირდა, ხოლო სამინისტროს პატიმრებისთვის არ მიუწოდებია აღნიშნული სერვისით დისტანციურად სარგებლობის შესაძლებლობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ქ) უზრუნველყოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმებითა და შესაბამისი რეაგირებით გამოავლინოს და შეისწავლოს №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის სავარაუდო დარღვევის შემთხვევები, საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ განხორციელებული სავარაუდო რეპრესიის ფაქტები და უზრუნველყოს შესაბამის პასუხისმგებელ პირთა სათანადოდ დასჯა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში

საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის სავარაუდო დარღვევის შემთხვევების გამოვლენის მიზნით სისტემური შემოწმება არ ჩაუტარებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ღ) უზრუნველყოს №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების დანერგვა

მიუხედავად იმისა რომ 2020 წელს შემუშავდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი), სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ყ) არასრულწლოვანებთან დაკავშირებული საფრთხეების ვერბალური დეესკალაციის მეთოდებით თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოს კრიზისულ შემთხვევაში მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მყისიერი ჩართულობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა კვლავ გრძელდება, ასევე პრობლემურია მათთან მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის ხარისხიც, შესაბამისად დავალება არ ფასდება შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

შ) არასრულწლოვანები უზრუნველყოს ოთხჯერადი ჯანსაღი კვებით (ერთ-ერთი კვება უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი).

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი ოთხჯერადი ჯანსაღი კვებით. იუსტიციის სამინისტრო არ იზიარებს რეკომენდაციას ოთხჯერად კვებასთან დაკავშირებით და მიაჩნიათ, რომ 2019 წლის პირველი დეკემბრიდან დღემდე, პენიტენციურ სისტემაში პატიმრების დღეში სამჯერადი კვება ახალი ჯანმრთელობის პრიორიტეტზე მორგებული მენიუების შესაბამისად ხორციელდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჩ) უზრუნველყოს №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება (სულ მცირე, მათი ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში მოთავსება). [9]

სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება არ არის უზრუნველყოფილი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ც) პენიტენციური დაწესებულებების საშუალო სამედიცინო რგოლის, ექთნების, მათ შორის, მორიგე ექთნების, რაოდენობა გაზარდოს არანაკლებ ორჯერ, აგრეთვე აღნიშნული დაწესებულებების სტომატოლოგიურ კაბინეტებს დაუმატოს სტომატოლოგიის ექთნები

2020 წლის განმავლობაში, პენიტენციური დაწესებულებების საშუალო სამედიცინო რგოლის, ექთნების, მათ შორის, მორიგე ექთნების რაოდენობა არ გაზრდილა ორჯერ, ასევე დაწესებულებების სტომატოლოგიურ კაბინეტებს არ დამატებია სტომატოლოგიის ექთნები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ძ) პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში უზრუნველყოს მისი პროფესიული გადამზადება;

2020 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალს, უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში არ ჩატარებია პროფესიული გადამზადება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

წ) №8 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში, კონსულტაციაზე ჩაწერილი პაციენტების რაოდენობიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ექიმ სპეციალისტთა ვიზიტების სათანადო სიხშირე, რათა პაციენტის მოლოდინის დრო 2 კვირას არ აღემატებოდეს;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, №8 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ ექიმ სპეციალისტთა ვიზიტების სიხშირე არ უზრუნველყოფს პაციენტთა მოლოდინის დროის შემცირებას, კერძოდ აღნიშნული დრო კვლავ აღემატება ორ კვირას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჭ) №8 პენიტენციური დაწესებულების საკმარისი რაოდენობის მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის, მომარაგებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად,

---

[9] "შ" და „ჩ" დავალებები, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით.

მედიკამენტების შესყიდვისას გაითვალისწინოს განვლილ პერიოდში დანიშნული მედიკამენტების მოთხოვნისა და ხარჯვის შესახებ გაანალიზებული მონაცემები[10]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის თანახმად ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის მედიკამენტების მიწოდება ხდება პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის ფარგლებში, ექიმი-სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, პენიტენციური ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის განახლება ხორციელდება პერიოდულად, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ნუსხის გარეთ დანიშნული მედიკამენტები და ასევე, ახალი მედიკამენტების შესახებ ექიმ-კონსულტანტთა მოსაზრებები. შესაბამისად, შესყიდვის ეტაპზე გაანალიზებულია მედიკამენტების ხარჯვისა და მოთხოვნის მონაცემები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ხ) პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზების მაქსიმალურად აღმოსაფხვრელად დანერგოს ინფორმაციული ელექტრონული სისტემა

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ხარვეზების მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით არ დანერგილა ინფორმაციული ელექტრონული სისტემა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჯ) მიიღოს ყველა ზომა, რათა გეგმური ამბულატორიული რეფერალის ვადა არ აღემატებოდეს 1 თვეს, გეგმური სტაციონარული რეფერალისა – 4 თვეს, ხოლო სასწრაფო, დაუყოვნებელი რეფერალისა – 5 დღეს

სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ სამინისტროს არ მიუღია ისეთი ზომები, რაც უზრუნველყოფდა დავალებაში აღწერილი კრიტერიუმებით სამედიცინო სერვისის მიწოდებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ) უზრუნველყოს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების მიმწოდებელთა მოზიდვა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

---

[10] აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობა ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეფასდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, შესაბამისად სახალხო დამცველის აპარატი ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ ინფორმაციას

„შემუშავდეს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებლების მოზიდვის სტრატეგია"

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რაც ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მოზიდვას უზრუნველყოფდა. რეკომენდაციის ტექსტში განხორციელებული არსებითი ცვლილებების გამო, დავალებაში მისი ძირითადი სულისკვეთება არ აისახა, შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[1]) პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი

ჰ[3]) გააგრძელოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით, ექიმი ფსიქიატრის ვიზიტამდე პაციენტის მოლოდინის დრო 2 კვირას არ აღემატება

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს მიერ, პენიტენციურ დაწესებულებებში არ დანერგილა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი, ასევე სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგების შედეგად დადგინდა, რომ პაციენტების მოლოდინის დრო, ექიმი ფსიქიატრის ვიზიტამდე აღემატება 2 კვირას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის „ჰ[1] და „ჰ[3]" დავალებები არ არის შესრულებული.</u>

ჰ[2]) გააგრძელოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით, ექიმი ფსიქიატრის მიერ ერთ დღეში მიღებული პაციენტების რაოდენობა 15-ს არ აღემატება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

„შტატით გათვალისწინებული ფსიქიატრების რაოდენობის ან/და მოწვეული ფსიქიატრის ვიზიტების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, ერთ დღეში მიღებული პაციენტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15-ს"

სახალხო დამცველის მიზანს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირებისთვის, კვალიფიციური ფსიქიატრიული მომსახურების მიწოდება წარმოადგენდა. აღნიშნულის შეფასების ინდიკატორად კი, ფსიქიატრების რაოდენობის ან/და მოწვეული ფსიქიატრის ვიზიტების ინტენსივობის გაზრდა განსაზღვრა. რეკომენდაციის ტექსტში განხორციელებული ცვლილებების ხარჯზე დავალება რეკომენდაციით განსაზღვრულ

ვალდებულებას არ უდგენს სამინისტროს, შესაბამისად სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ არის გაზიარებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[4]) პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურები

ჰ[5]) შეიმუშაოს კრიზისული შემთხვევის პრევენციისა და მართვის სახელმძღვანელო და პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალი გადაამზადოს კრიზისული შემთხვევის პრევენციისა და მართვის საკითხებში;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ განუსაზღვრავს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურები. ასევე არ შემუშავებულა კრიზისული შემთხვევის პრევენციისა და მართვის სახელმძღვანელოც, ხოლო თანამშრომლები არ გადამზადებულან კრიზისული შემთხვევის პრევენციისა და მართვის საკითხებში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის „ჰ[4]“ და „ჰ[5]“ დავალებები არ არის შესრულებული.</u>

ჰ[6]) უზრუნველყოს, რომ ფსიქიატრიულმა მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს მათი ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიოს ამ პაციენტებს შესაბამისი დახმარება;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდი არ აფასებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებებს, რომელთაც სტაციონალური მკურნალობა არ ესაჭიროებათ. შესაბამისად არ ხდება პატიმართა ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შესაბამისი დახმარების გაწევა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[7]) უზრუნველყოს, რომ გენერალური ინსპექციის სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის სამმართველომ შეისწავლოს ფსიქოტროპული მედიკამენტების გაცემის პრაქტიკა და მიიღოს ზომები ფსიქოტროპული მედიკამენტების არამიზნობრივი მიღების თავიდან ასაცილებლად

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი უწევს კონტროლს მედიკამენტების გაცემის პრაქტიკას და რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მიიღება შესაბამისი ზომები.[11]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჰ[8]) პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მის მიერ პაემნის უფლებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის თანახმად ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღება როგორც შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ლიმიტები, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხიც, ხოლო შესაძლებლობის ფარგლებში, ხდება მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის განთავსება.

სახალხო დამცველის შეფასებით, იუსტიციის სამინისტროსთვის პატიმრის პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა არ წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[9]) ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის მინის გამყოფი ბარიერის გარეშე გამართვა;

შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა გაცემული დავალების შესრულებას, შესაბამისად აღნიშნულ დავალებას ობიექტური მიზეზის გამო სახალხო დამცველი ვერ შეაფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: ობიექტური გარემოებების გამო, საქართველოს სახალხო დამცველი არ აფასებს დავალების შესრულების მდგომარეობას.</u>

ჰ[10]) №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მოაწყოს სატელეფონო კაბინები, სადაც შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურ გარემოში წარმოება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის თანახმად №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მოწყობილია

---

[11] აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობა ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეფასდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, შესაბამისად სახალხო დამცველის აპარატი ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ ინფორმაციას.

სატელეფონო კაბინები, სადაც შესაძლებელია სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურ გარემოში წარმოება.[12]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[11]) უზრუნველყოს №3 პენიტენციურ დაწესებულებაში სატელეფონო საუბრებისთვის განკუთვნილი სივრცეების დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით აღჭურვა, რათა სხვა პირმა ვერ შეძლოს მსჯავრდებულის საუბრის მოსმენა.

საანგარიშო პერიოდში №3 პენიტენციურ დაწესებულებაში არ მომხდარა, სატელეფონო საუბრებისთვის განკუთვნილი სივრცეების დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით აღჭურვა, რათა სხვა პირმა ვერ შეძლოს მსჯავრდებულის საუბრის მოსმენა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[12]) უზრუნველყოს, რომ მონიტორინგის სამსახურმა შეისწავლოს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მიერ საზღვარგარეთ დარეკვისა და სატელეფონო საუბრის უფლების განხორციელებაში ხელის შემშლელი პრაქტიკა და მიიღოს ზომები პატიმრების მიერ ამ უფლებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრების მიერ საზღვარგარეთ დარეკვისა და სატელეფონო საუბრის უფლების განხორციელებაში ხელის შემშლელი პრაქტიკა კვლავ გრძელდება, ასევე არ არის მიღებული სათანადო ზომები, რაც პატიმრების მიერ ამ უფლებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობას უზრუნველყოფდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[13]) №11 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა ინტერესების შესაბამისად, დაგეგმოს ეფექტიანი სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება მათი უნარების, ინტერესებისა და მოტივაციის გაძლიერებისკენ და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სათანადო ინტეგრაციას

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, ბავშვთა უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ №11 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ არ იგეგმება ისეთი სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება არასრულწლოვანთა უნარების, ინტერესებისა და მოტივაციის გაძლიერებისკენ, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სათანადო ინტეგრაციას.

---

[12] აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობა ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეფასდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, შესაბამისად სახალხო დამცველის აპარატი ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ ინფორმაციას.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ჰ[14]) გააძლიეროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობა არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების მიერ მათი საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფის შემთხვევებში არასრულწლოვანთა ინტერესებისა და უფლებების დროულად დაცვის მიზნით

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან" ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვან ბენეფიციარს არ ჰყავს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ან ჰყავს, მაგრამ კომუნიკაცია მასთან ვერ ხერხდება. 2020 წლის განმავლობაში, სპეციალური პენიტენციურ სამსახურსა და სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს" მიერ ერთობლივი მუშაობა განხორციელდა 7 შემთხვევაზე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უწყვეტი განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

მიუხედავად განხორციელებული პოზიტიური საქმიანობისა, აღნიშნული სრულყოფილად ვერ პასუხობს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და საქართველოს პარლამენტის დავალებას, შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.

ჰ[15]) უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ უცხოელთათვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ასლის გადაცემით;

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული უცხოელები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი უცხოელთათვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებული პროცედურებით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ასლის გადაცემით.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.

ჰ[16]) სოციალური სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამებში გაითვალისწინოს თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები.

სოციალური სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამებში კვლავ არ არის გათვალისწინებული თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.

საქართველოს პროკურატურა

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა, დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს გენერალურ პროკურატურას 16 დავალება მისცა.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის აპარატს სრულყოფილად არ მიაწოდა ინფორმაცია საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, რამაც აპარატს არსებითად გაურთულა საქმიანობის განხორციელება. მიუხედავად ამისა, საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასეთ პროკურატურის მიმართ გაცემული ყველა საპარლამენტო დავალება.

16 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- შესრულდა: 2
- არ შესრულდა:4
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 2
- სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან არ გამომდინარეობს: 1
- რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილება: 7

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომაროების დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალებები:

ა) ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმის გამოძიების დროს დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები შემოწმების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას, შემოწმების მასალები კანონით განსაზღვრული წესით გააცნოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და აღნიშნული შემოწმების შედეგების საფუძველზე იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

ა) საქართველოს პროკურატურისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პერიოდულად მიაწოდოს საზოგადოებას, შემოწმების მასალები კი, გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე იმსჯელოს*

სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე"

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტში შეტანილი ცვლილებების გამო რეკომენდაცია ვერ შეფასდება სრულყოფილად გაზიარებულად, რადგან მასალების კანონით დადგენილი წესით გაცნობის შემთხვევაში სახალხო დამცველი მოკლებული იქნება შესაძლებლობას საქმეზე განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა.

სახალხო დამცველის შეფასება: სახალხო დამცველის რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ არ ყოფილა საზოგადოება ინფორმირებული მიმდინარე სამსახურეობრივი შემოწმების თუნდაც შუალედური შედეგების შესახებ, ასევე თავად პროკურატურის მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ ამ დრომდე არ დასრულებულა უწყებაში მიმდინარე შემოწმების პროცესი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეების გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე;

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიში არ შეიცავს სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეების გამოძიების ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეების გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ;

საქართველოს პროკურატურისადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

„სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით"

მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეთა გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. საქართველოს პარლამენტის დავალებით გენერალურ

პროკურატურას დაევალა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, თუმცა, როგორც აღინიშნა, საპარლამენტო დავალებების შესრულება სწორედ, რომ მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით არის შეუძლებელი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოქმედებათა თარიღების მითითებით ინფორმაციის გაზიარება სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი კომპონენტია. შესაბამისად რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების და მნიშვნელოვანი კომპონენტების გაუზიარებლობამ დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელი გახადა.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქართველოს პროკურატურის მიერ გამოვლენილი თანამშრომლობის ხარისხს არადამაკმაყოფილებლად აფასებს. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ამ მიმართულებით არსებული პოზიტიური მაგალითებიც: საქართველოს პროკურატურამ აპარატის წარმომადგენლებს მისცა შესაძლებლობა საგამონაკლისო წესით გაცნობოდნენ თამარ ბაჩალიაშვილის და გიორგი შაქარაშვილის სისხლის სამართლის საქმეთა მასალებს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე.

სახალხო დამცველის შეფასება: <u>საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

დ) გააგრძელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით №074220619801 სისხლის სამართლის საქმის ეფექტიანი გამოძიება;

საქართველოს სახალხო დამცველი ნეგატიურად აფასებს 2019 წლის 20-21 ივნისს ქ.თბილისში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე გამოძიების ხარისხს, შესაბამისად დავალების შესრულების მდგომარეობა ნეგატიურად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ე) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას აცნობოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეების გამოძიების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ.“*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეების გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების" აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

3) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ;

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში, ასახულია ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ, შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ზ) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის იმ საქმეებზე, რომლებშიც ქალის გარდაცვალებამდე მის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი ძალადობასთან დაკავშირებით მიმართვის ფაქტები იკვეთება, გააგრძელოს პოლიციისა და პროკურორის მიერ შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის გამოვლენის გარემოებების გამოკვლევა;

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში 2020 წელს შესწავლილ იქნა ქალთა მკვლელობების/მკვლელობის მცდელობების 2018-2020 წლების სისხლის სამართლის საქმეები. შესწავლის შედეგად გაანალიზდა ქალთა მკვლელობების, მკვლელობის მცდელობების სისხლისსამართლებრივი ასპექტები, გამომძიებლებისა და პროკურორების მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენისა და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის წინარე ისტორიასთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების საკითხები. შესწავლის შედეგად საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტები არ გამოიკვეთა. სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს უწყების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, თუმცა აღნიშნავს რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ქალთა მკვლელობის იმ შემთხვევების ანალიზი, სადაც პოლიცია ინფორმირებული იყო ძალადობის ფაქტის შესახებ და მაინც ვერ აირიდეს თავიდან ეს დანაშაული. შესაბამისად აღნიშნული საკითხის გათვალისწინების საჭიროებიდან გამომდინარე, დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

თ) დეტალურად გააანალიზოს ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულები, კერძოდ, ქორწინების იძულება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, და მათთან დაკავშირებით აწარმოოს სქესისა და ასაკის ნიშნებით სეგრეგირებული სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ, 2020 წელს შესწავლილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 151-ე პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლის საქმეები, აგრეთვე თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ დანაშაულებთან. აღნიშნული პოზიტიური საქმიანობის მიუხედავად არ გამოქვეყნებულა სეგრეგირებული სტატისტიკა სქესისა და ასაკის მითითებით. შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ი) უზრუნველყოს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და მისი გამოქვეყნება;

საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2020 წლის 9 თვის მიხედვით. ასევე გამოქვეყნებულია კვლევა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულების შესახებ 2018-2020 წლებში. აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს უწყების საქმიანობას და დავალებას შესრულებულად თვლის.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

კ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმის მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ"*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმის მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის

ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების" აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ლ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მე-11 თავში მითითებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია წინამდებარე თავში[13] მითითებული სისხლის სამართლის საქმეების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ."*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება ანგარიშში მითითებული სისხლის სამართლის საქმეების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების" აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

მ) უზრუნველყოს უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის შესახებ რეკომენდაციების გონივრულ ვადაში შემუშავება და განხორციელება;

აღნიშნული დავალება არ გამომდინარეობს, სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

---

[13] იგულისხმება შეკრების თავისუფლების შესახებ თავი, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშიდან.

მიუხედავად ამისა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ რეკომენდაციის შემუშავება უფლებადამცველთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. უფლებადამცველთა უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მისასალმებელია, რომ მითითებული დოკუმენტი განმარტავს უფლებადამცველების ცნებას, რაც თანხვედრაშია უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სახელმძღვანელოში[14] ასახულ განმარტებასთან.

რამდენადაც ორივე ზემოხსენებულ დოკუმენტზე მუშაობა ერთდროულად მიმდინარეობდა, სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატს ჰქონდა შესაძლებლობა, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, მჭიდრო სამუშაო რეჟიმში, გაეცვალა შესაბამისი ინფორმაცია და მოსაზრებები. ორივე მათგანის შინაარსის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება განხორციელდა 2020 წლის 8 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით გამართულ ონლაინ შეხვედრაზე: „უფლებადამცველები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები“.[15]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ნ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედების ფაქტის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე“*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედების ფაქტის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების“ აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება

---

[14] სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3zsRnDZ > [14.06.2021].

[15] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3glYiYn > [14.06.2021].

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ო) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედების ფაქტის გამოძიების მიმდინარეობისა და გაწეული საქმიანობის შესახებ;

საქართველოს გენერალურ პროკურატურას, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში, არ აუსახავს ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედების ფაქტის გამოძიების მიმდინარეობისა და გაწეული საქმიანობის შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

პ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რუისი-რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანებისა და განადგურების ფაქტების გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რუისი–რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურების და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანებისა და განადგურების ფაქტების გამოძიების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ.“*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება, რუისი–რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურების და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანებისა და განადგურების ფაქტების გამოძიების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების“ აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჟ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულ (გაუჩინარებულ) პირთა საქმეების გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> „საზოგადოებას, პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული პირების საქმის გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე"

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტი. სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორის ჩანაცვლებამ „ახალი გარემოებების" აღმოჩენაზე მითითებით არსებითად შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ 26 დავალება გაიცა.

საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების გამო 10 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა ვერ შეფასდა, ხოლო ერთი დავალება საერთოდ არ გამომდინარეობდა სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ერთი საპარლამენტო დავალება ვერ შეფასდა.

26 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- შესრულდა: 8
- არ შესრულდა:7
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 1
- ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ ფასდება: 1
- პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო შეფასებას არ ექვემდებარება: 8
- არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან: 1

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალებები:

ა) შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის დაკავებული პირის მიერ მისი უფლებების განმარტების მიღებისა და ოჯახის წევრთან/ახლობელთან/ადვოკატთან დაკავშირების უფლების განხორციელებას, ამასთანავე, უზრუნველყოს პოლიციის ყველა განყოფილებაში დაკავებულ პირთა უფლებების ჩამონათვალის ამსახველი საინფორმაციო მასალის თვალსაჩინო ადგილებზე განთავსება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიდეოჩანაწერებით) აღბეჭდვა*

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი, დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების ტექნიკური საშუალებებით (აუდიო - ვიდეოჩანაწერებით) აღბეჭდვა იყო. საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში აღნიშნული კომპონენტი საერთოდ არ არის ნახსენები, შესაბამისად რეკომენდაცია ვერ შეფასდება გაზიარებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ბ) შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს დაკითხვისა და გამოკითხვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამუშაო ოთახებში ჩატარების შემთხვევებსა და საფუძვლებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით.

> *პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს* და *გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა*

გაცემული რეკომენდაციით სახალხო დამცველის მიზანს, ყველა იმ ადგილას სათვალთვალო კამერების დამონტაჟება წარმოადგენდა, სადაც დაკავებულს ან/და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირებს უწევთ ყოფნა. საქართველოს პარლამენტმა მის მიერ გაცემულ დავალებაში აღნიშნული კომპონენტი საერთოდ არ გაითვალისწინა, შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

გ) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების საკითხის დასარეგულირებლად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით.

> *„2020 წელს, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები."*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციით დადგენილი მიზანი. სახალხო დამცველის მიზანს, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების სამხრე კამერებით აღჭურვა და მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულების განსაზღვრა წარმოადგენდა, ხოლო საქართველოს პარლამენტმა უწყებას მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

დ) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების საკითხის მოსაწესრიგებლად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება"*

ზემოთ უკვე განხილული დავალების მსგავსად, საქართველოს პარლამენტმა ცალკეული საქმიანობის განხორციელების ნაცვლად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შესახებ მისცა დავალება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ე) გააგრძელოს იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობის გაზრდა, რომლებშიც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს;

2020 წლის განმავლობაში, სამედიცინო პუნქტი გაიხსნა 5 დროებითი მოთავსების იზოლატორში - სენაკის, ჭიათურის, ოზურგეთის, სიღნაღის იზოლატორები. ასევე, მიმდინარე წელს, ქ. თბილისში, გაიხსნა ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ რჩება ისეთი დროებითი მოთავსების იზოლატორები, რომლებშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს სამინისტროს ძალისხმევას და დავალებას შესრულებულად მიიჩნევს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ვ) დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტაროს ტრენინგები ამ იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2021 წლის 9 მარტიდან დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება, დმი-ში მოსათავსებელ/მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანების ფოტოგრაფირებისა და ფოტომასალის წესის შესახებ. სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას და დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ზ) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გამოკითხვაზე, დაკითხვასა და გასაუბრებაზე მიწვეული ყველა პირის აღრიცხვისთვის რეესტრის წარმოების მიზნით, რომელშიც მიეთითება მათი სტატუსი, შენობაში შეყვანისა და შენობიდან გამოყვანის დრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით.

> *„რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით"*

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეესტრის წარმოების გზით, პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვისკენ მიუთითებდა, საქართველოს პარლამენტმა უწყებას მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

თ) ეტაპობრივად აღმოფხვრას დროებითი მოთავსების იზოლატორებში საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით არსებული ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა ხელშესახები სამუშაო დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა აღსანიშნავია რომ კვლავ არსებობს რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაც დამატებით მუშაობას საჭიროებს. შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ი) შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება პოლიციის დაწესებულებებში სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, რომლებიც ჩაანაცვლებს ამ დაწესებულებების ჟურნალებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით.

> *„პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების წარმოება, რომელიც ჩაანაცვლებს დაწესებულებაში წარმოებულ ჟურნალებს."*

საქართველოს სახალხო დამცველმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით მოუწოდა, პოლიციის დაწესებულებებში სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების წარმოების დანერგვის საჭიროების შესახებ. სამწუხაროდ საქართველოს პარლამენტმა, უწყებას მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

კ) პოლიციის მიერ პრევენციული ფუნქციის შესრულების ფარგლებში გააგრძელოს პირის მიერ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით მიღების შემთხვევაში მისი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ მოსახლეობის საინფორმაციო პრევენციული კამპანიის წარმოება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აგრძელებდა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით მიღების შემთხვევაში პირის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ლ) გააგრძელოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, <u>ამასთან, შემუშავდეს</u> <u>ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას"</u>*

საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია. საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაცემულ დავალებაში არ აისახა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც უწყებას ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტის შემუშავებისკენ მოუწოდებდა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) 2020 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინსიტრომ არაერთი სასწავლო ღონისძიება განახორციელა, რომელიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებში, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა გადამზადებას ეხებოდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

მ) ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვისა და დახმარების მიზნით დაიწყოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესის შემუშავება;

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვისა და დახმარების მიზნით, <u>განისაზღვროს</u> გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე*

საქართველოს სახალხო დამცველი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებდა განესაზღვრა გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი, ქალთა მიმართ ძალადობისა და

ოჯახში ძალადობის საკითხებზე. საქართველოს პარლამენტმა უწყებას მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება დაავალა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ უწყებას დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად მუშაობა ამ დრომდე არ დაუწყია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ნ) გააუმჯობესოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, <u>კერძოდ, გაანალიზდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად</u>“*

საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი კრიტერიუმი, კერძოდ სახალხო დამცველი უწყებას მოუწოდებდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას იმგვარად, რაც უწყებას შესაძლებლობას მისცემდა გაანალიზებულიყო, ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლები. ხოლო საკანონმდებლო ორგანომ, სახელმწიფო უწყებას მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გაუმჯობესება დაავალა. შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ არის გაზიარებული.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ უწყებას არ გაუუმჯობესებია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ო) გააგრძელოს პრევენციული ზომების მიღება ქორწინების იძულებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევების შესამცირებლად, მათ შორის, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება და მომხდარ დანაშაულთა დეტალური გაანალიზება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ქორწინების იძულებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევების შესამცირებლად მიღებული პრევენციული ზომების ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია ჩაატარა, მათ შორის იყო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალური, 16 დღიანი კამპანია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება; დავალება შესრულებულია.</u>

პ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტის გამოვლენისა და ამის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს სათანადო რეაგირება და სანქციის დაკისრება;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად სამინისტროსგან ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი რაც აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასებისთვის იქნებოდა საკმარისი. სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში ასახული ინფორმაციის საფუძველზეც შეუძლებელია დავალების შესრულების მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჟ) გააუმჯობესოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, გამოკვეთოს ტენდენციები და უზრუნველყოს მისი გამოქვეყნება;

2020 წლის 23 სექტემბერს, სამინისტროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ გაფორმდა მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმი ცალსახად აუმჯობესებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და გამოქვეყნების აქამდე არსებულ პრაქტიკას, შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

რ) უზრუნველყოს ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის გამო მათ წინააღმდეგ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების დროულად და სათანადოდ გამოძიება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია და მის საფუძველზე აწარმოოს სპეციალური*

სტატისტიკა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება."

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანი, რომლის მიხედვითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის გამოცდილების გათვალისწინებით სტატისტიკის წარმოების ისეთი მეთოდოლოგია უნდა შეემუშავებინა, რომელიც ასახავდა არა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება . სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მედიის წარმომადგენელთა მიერ საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს დროულად უზრუნველყოფის აუცილებლობა კიდევ ერთხელ დადასტურდა მიმდინარე წლის ივლისში განვითარებული მოვლენებით. მნიშვნელოვანია რომ ამ და წარსულში მომხდარ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებს სათანადო რეაგირება მოჰყვეს, ამავდროულად საქართველოს პარლამენტს მოვუწოდებთ გააძლიეროს საზედამხედველო მექანიზმები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ს) უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი შეკრების ან მანიფესტაციის გამართვისას მშვიდობიანი შეკრებისთვის ხელის შესაწყობად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შეზღუდონ თანაზომიერების პრინციპის განუხრელი დაცვით, მათ შორის, ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიების გამოყენების უპირატესობის გათვალისწინებით

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ ყოფილა უზრუნველყოფილი, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა და საჭიროების შემთხვევაში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში. ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებული იყო შეზღუდვის ისეთი ფორმები, რომელთა საჭიროება დღის წესრიგში არ იდგა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ტ) სპონტანური ან დაგეგმილი შეკრებისა და კონტრშეკრების მშვიდობიანად გამართვის უზრუნველსაყოფად დროულად და სათანადოდ შეაფასოს მოსალოდნელი რისკები და მიიღოს ყველა ზომა, ერთი მხრივ, მშვიდობიანი აქციის ჩატარებისთვის ხელის

შესაწყობად და, მეორე მხრივ, ძალადობრივი ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების თავიდან ასაცილებლად

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა შეკრებებმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ ვერ/არ უზრუნველყოფს რისკების სათანადო შეფასებას ძალადობრივი ქმედებების თავიდან არიდების მიზნით. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენდა 2020 წლის 8 ოქტომბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან მიმდინარე შეკრების უფლებაში ძალადობრივი ჩარევა, მაშინ როდესაც აქციის მონაწილეთა რაოდენობა აღნიშნული ზომის გამოყენების წინაპირობას არ ქმნიდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

უ) შეკრების მიმდინარეობისას უზრუნველყოს დროებითი კონსტრუქციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსების შესაძლებლობის შექმნა და შესაბამისი უფლება შეზღუდოს თანაზომიერების პრინციპის განუხრელი დაცვით, ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიების გამოყენების უპირატესობის გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეკრების მონაწილეებს არ აძლევდა დროებითი კონსტრუქციების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განთავსების შესაძლებლობას, ხოლო შემზღუდველი ღონისძიებები არ იყო ყველაზე ნაკლებად მზღუდავი, შესაბამისად არ ექცეოდა თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ფ) უზრუნველყოს უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და ეფექტიანი გამოძიების შესახებ რეკომენდაციების შემუშავების პროცესის დაწყება.

აღნიშნული დავალება არ გამომდინარეობს, სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. თუმცა პოზიტიურად ფასდება საქართველოს პარლამენტის მიერ დავალების გაცემის ფაქტი, უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით მათ დაწყებული აქვთ ამ მიმართულებით მუშაობა, რასთან დაკავშირებითაც აპარატთან ჩატარდა შეხვედრა, ასევე აპარატის თანამშრომლების მიერ შსს-ს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი, სადაც განხილულ იქნა უფლებადამცველების განმარტების, ამ კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტების და ამ მიმართულებით მათთვის საინტერესო სხვა საკითხები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ქ) დროულად უზრუნველყოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყოფა და განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და აღნიშნულ

სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად საჭირო საკანონმდებლო ღონისძიებები. [16]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ დრომდე არ გამოუყვია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ნორმაზე მეტი კონცენტრაციის გამოვლენას შეუწყობდა ხელს. უწყებასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროში, შემუშავებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს პასუხისმგებლობის გამკაცრებას ისეთი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროექტი ამ დრომდე არ არის ინიცირებული საკანონმდებლო ორგანოში, საქართველოს სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს, მისი შინაარსობრივი თავსებადობა საქართველოს პარლამენტის დავალებასთან.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ღ) გააგრძელოს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ხანდაზმულ მსხვერპლთა აღრიცხვა (სტატისტიკის წარმოება) და მონაცემების დამუშავება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით.

„შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია და აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ზუსტ მონაცემებს სქესის მიხედვით."

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანი საქართველოს პარლამენტმა დავალების ფორმირების პროცესში არსებითად შეცვალა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუთითა შეემუშავებინა მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც სპეციალურ სტატისტიკას აწარმოებდა, სადაც ასახული იქნებოდა ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევები სქესის მიხედვით. საქართველოს პარლამენტმა კი სახელმწიფო უწყებას მხოლოდ არსებული საქმიანობის გაგრძელება და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება დაავალა.

[16] აღნიშნული დავალება სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით. საქართველოს პარლამენტმა იგი როგორც სამი დამოუკიდებელი დავალება ისე გასცა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ყ) მკაფიოდ განსაზღვროს საპატრულო პოლიციისა და სასაზღვრო პოლიციის უფლებები და მოვალეობები თავშესაფრის მაძიებლის საზღვარზე მიღებასა და გადამისამართებასთან დაკავშირებით;

2020 წლის 21 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიიღო N99 ბრძანება „უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ". აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლისთვის მისაწოდებელ აუცილებელ ინფორმაციას და თანამშრომელთა კომპეტენციას. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს განხორციელებულ ცვლილებას და დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

შ) წლის განმავლობაში დაგეგმოს და გადაამზადოს სასაზღვრო პოლიციის იმ რაოდენობის თანამშრომლები, რომელიც ყოველ შესაბამის ერთეულში უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნის გარკვევის პრაქტიკის გაუმჯობესებას;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ორგანიზებით, 2020 წლის დეკემბერში და 2021 წლის იანვარში, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ჩართულობით, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის გაიმართა 11 ტრენინგი თემაზე: „თავშესაფრის პროცედურა საქართველოში და ძირითადი ტენდენციები". სახალხო დამცველის შეფასებით აღნიშნულმა სწავლებამ უზრუნველყო საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჩ) გააქტიუროს ელექტრონული სისტემის (ე. წ. BORS) გონივრულ ვადაში შექმნის პროცესი საზღვრის გადაკვეთისას გამოვლენილი ინციდენტების, მათ შორის, საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის შემთხვევების, აღრიცხვისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არ განხორციელებულა ისეთი საქმიანობა რაც დააჩქარებდა ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის მიზეზებს, ასევე გამოვლენილი ინციდენტების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს დაამუშავებდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 5 დავალება გაიცა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დადგინდა, რომ გაცემული დავალებების დიდი ნაწილი არ არის შესრულებული.

გაცემული საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- შესრულდა: 1
- არ შესრულდა: 3
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 1

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მხოლოდ ერთი დავალება იყო გაცემული, რომელიც არ შესრულებულა.

საპარლამენტო დავალება:

ა) გონივრულ ვადაში ეტაპობრივად შეიმუშაოს ახალი მიდგომები სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გაზრდისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა ახალი მიდგომები, რაც სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გაზრდისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) აღმოფხვრას სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება (დასჯის მიზნით მისი რიგგარეშე ფიზიკური დატვირთვა) და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა და ამისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს დაავალოს, სისტემური კონტროლი გაუწიოს სამხედრო ნაწილებში არასაწესდებო სასჯელის გამოყენებას და ჯგუფურ დასჯას

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა რომ არ არის აღმოფხვრილი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენების და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა. ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის, აგრეთვე უწყების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის შედეგად არ გამოიკვეთა თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სისტემური კონტროლის განხორციელების ფაქტები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) უზრუნველყოს, რომ სამხედრო ნაწილებში არსებობდეს აუცილებელ შემთხვევებში თარჯიმნის დაშვების შესაძლებლობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ამ დრომდე არ არის დაშვებული თარჯიმნის შტატი იმ სამხედრო ნაწილებში სადაც აღნიშნულის საჭიროება არსებობს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

დ) შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს ღონისძიებები, რათა სამხედრო მოსამსახურეებს არ უწევდეთ რიგგარეშე სადღეღამისო განწესებში ხშირად გასვლა და კუთვნილი შვებულებით სარგებლობა ყველა სამხედრო მოსამსახურეს თანაბრად შეეძლოს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ უწევთ რიგგარეშე სადღეღამისო განწესებში გასვლა. აღსანიშნავია, შვებულების უფლებით სარგებლობის ნაწილში არსებული პროგრესი, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ე) შეიმუშაოს საკვების გასინჯვის ახალი ინსტრუქცია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის, აგრეთვე უწყების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ შემუშავებულია საკვების გასინჯვის ახალი ინსტრუქცია, რომლის შესწავლის შემდგომ სახალხო დამცველი დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება. დავალება შესრულებულია.</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ 103 დავალება გაიცა.

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების გამო 2 დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას, ასევე ერთი დავალების შესრულების მდგომარეობა არ დაექვემდებარა შეფასებას ადრესატი უწყების ცვლილების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და საქართველოს პარლამენტისთვის რელევანტური ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო შეუძლებელია 11 დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- შესრულდა: 15
- არ შესრულდა: 56
- ნაწილობრივ შესრულდა: 15
- ობიექტური მიზეზით არ ექვემდებარება შეფასებას: 2
- ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას: 11
- რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილება: 3
- ადრესატი უწყების ცვლილება: 1

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომაროების დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალება:

ა) აქტიურად გადადგას ნაბიჯები სომატური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტების მკურნალობისთვის

ბ) დროებითი ღონისძიების სახით უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტებისთვის ოჯახის ექიმის ხელმისაწვდომობა და მათი სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება [17]

ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტების სომატური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში არ შეასრულა მასზე დაკისრებული საპარლამენტო დავალება. აგრეთვე, დროებითი ღონისძიების სახედ არ ყოფილა უზრუნველყოფილი ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტებისთვის ოჯახის ექიმის ხელმისაწვდომობა და მათი სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ა“ და „ბ“ დავალებები არ არის შესრულებული</u>

[17] “ა“ და „ბ“ დავალებები, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით.

გ) ეროვნული გაიდლაინების მიხედვით, უზრუნველყოს მედიკამენტების გვერდითი ეფექტების შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების საფუძველზე მართვა

დ) ყველა ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის განსაზღვროს სწრაფი ტრანკვილიზაციის აუცილებლობის დასაბუთების, ტრანკვილიზაციაზე პაციენტის თანხმობის ფაქტის წერილობით დოკუმენტირების, ფიზიკური მონიტორინგის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებისა და ამ მონიტორინგის შედეგების სამედიცინო დოკუმენტაციაში ასახვის ვალდებულებები

სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის კვლავ არ არის განსაზღვრული სწრაფი ტრანკვილიზაციის აუცილებლობის დასაბუთების ვალდებულება, აგრეთვე ეროვნული გაიდლაინების მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი მედიკამენტების გვერდითი ეფექტების შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების საფუძველზე მართვა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „გ“ და „დ“ დავალებები არ არის შესრულებული</u>

ე) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება, გარდაცვალების მიზეზის მითითება და ინფორმაციის სისტემატიზება

სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, კვლავ არ ხდება გარდაცვლილ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება, გარდაცვალების მიზეზის მითითება და ინფორმაციის სისტემატიზება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ვ) პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნას ნორმატიული ბაზა, რომელიც მოაწესრიგებს ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალის მიერ ცალკეული პაციენტებისგან მომდინარე რისკების წინასწარ შეფასების სისტემის დანერგვის, მულტიდისციპლინური მუშაობის, პაციენტების ძალადობისგან დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, პერსონალის მიერ პაციენტებზე სათანადო მეთვალყურეობის/დაკვირვების განხორციელების, პერსონალის სათანადო სწავლების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურებისა და დეესკალაციის სტრატეგიის შემუშავების, საფრთხის წარმოქმნისთანავე, დროულად სათანადო ინტერვენციის განხორციელების, ძალადობის შემთხვევებისა და მათ საპასუხოდ მიღებული ზომების დოკუმენტირების, პერსონალის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს

ზ) დახვეწოს კონფლიქტისა და ძალადობის ფაქტებისა და მათ საპასუხოდ განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტირების წესი და ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულებების მიერ ამ წესის გამოყენების ვალდებულება; განსაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ ძალადობის შემთხვევაში შეტყობინება გაეგზავნოს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამასთანავე, თუ შეტყობინება ტელეფონით ხდება, შედგეს შესაბამისი ოქმი; უზრუნველყოს შეტყობინებების რეესტრის წარმოება

პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კვლავ არ არის შექმნილი ნორმატიული ბაზა, რომელიც მოაწესრიგებს ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალის მიერ ცალკეული პაციენტებისგან მომდინარე რისკებს. გარდა ამისა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის დანერგილი პაციენტის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის დოკუმენტირების სამართლებრივი მექანიზმი, შესაბამისად, ვინაიდან კონფლიქტისა და ძალადობის ფაქტებისა და მათ საპასუხოდ განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტირების წესი არ არსებობს, ის პარლამენტის დავალების შესაბამისად არც „დახვეწილა". ასევე, არ განსაზღვრულა პაციენტის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, შეტყობინების შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნის ვალდებულება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ვ" და „ზ" დავალებები არ არის შესრულებული</u>

თ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაავალოს, შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალურად ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს სტაციონარიდან იმ პაციენტების დაუყოვნებლივ გაწერისთვის საჭირო ყველა ზომა, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, არ შეუსწავლია ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალურად ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ი) შეიმუშაოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის განხორციელების დეტალური ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრება ფიზიკური შეზღუდვის დროს პაციენტის ან/და ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალის მიერ მიღებული სხეულის დაზიანების შესახებ ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება, ფიზიკური შებოჭვის დროს გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების მახასიათებლები, ფიზიკური შებოჭვის განხორციელების ადგილი და ამ პროცესზე დასწრების უფლების მქონე პირები, მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალიზებული საიზოლაციო პალატა, ფიზიკური შეზღუდვის დროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენების საკითხი და ფიზიკური შეზღუდვის დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრებისა და მისთვის გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ამასთანავე, შეიმუშაოს სპეციალური რეესტრის ფორმა და განსაზღვროს მასში ზემოაღნიშნული მონაცემების შეტანის ვალდებულება

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

„ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციაში, 2020 წელს შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- *განისაზღვროს კრიზისული ინტერვენციის დროს ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის ალტერნატიული (დეესკალაციის) მეთოდების გამოყენების ვალდებულება და ასეთი მეთოდების გამოყენების დოკუმენტირება და იმის დასაბუთება, თუ რატომ არ გამოდგა ეს მეთოდები ეფექტიანი და აუცილებელი გახდა ფიზიკური ან ქიმიური შეზღუდვის საშუალების გამოყენება*
- *განისაზღვროს ფიზიკური შეზღუდვის უშუალოდ განხორციელების შესახებ დეტალური ინსტრუქცია, სადაც გაიწერება ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება ფიზიკური შეზღუდვის დროს პაციენტის ან/და პერსონალის მიერ მიღებული სხეულის დაზიანებების შესახებ; ფიზიკური შებოჭვის დროს გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების კონკრეტული მახასიათებლები; სად უნდა განხორციელდეს ფიზიკური შებოჭვა და ვინ შეიძლება ესწრებოდეს ამ პროცესს; რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალიზებული საიზოლაციო პალატა; ფიზიკური შეზღუდვის პროცესში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ფიზიკური შეზღუდვის დასრულების შემდეგ პერსონალის პაციენტთან გასაუბრების და გასაჩივრების უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება. მათ შორის, შემუშავდეს სპეციალური რეესტრის/ჟურნალის ფორმა, რომელშიც სავალდებულო გახდება ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების შეყვანა"*

საქართველოს პარლამენტის დავალებაში არ აისახა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც სამინისტროს ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის ალტერნატიული (დეესკალაციის) მეთოდების გამოყენების ვალდებულების განსაზღვრისკენ და ასეთი მეთოდების გამოყენების დოკუმენტირება/დასაბუთებისკენ მოუწოდებდა. შესაბამისად სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) საანგარიშო პერიოდში არ შესულა ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციაში, რომლითაც განისაზღვრებოდა ფიზიკური შეზღუდვის უშუალოდ განხორციელების დეტალური ინსტრუქცია, შესაბამისად უწყების მიერ დავალება არ არის შესრულებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

კ) განსაზღვროს ყველა ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვისა და უკუკავშირის ერთიანი ჰოსპიტალშიდა პროცედურა. ეს პროცედურა ადამიანის უფლებების შესაბამისი, ხელმისაწვდომი, მარტივი, სამართლიანი და გამჭვირვალე უნდა იყოს

საანგარიშო პერიოდში არ განსაზღვრულა ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვისა და ერთიანი ჰოსპიტალშიდა პროცედურა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ლ) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტის საჭიროებების შეფასება მისი დაწესებულებიდან გაწერისა და სათემო მომსახურებებზე გადაყვანის მიზნით; თავშესაფრების შექმნის გეგმა შეიმუშაოს თავშესაფრის მომავალ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, არ უზრუნველყო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტთა საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერისა და სათემო მომსახურებებზე გადაყვანის მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

მ) ფსიქიატრიული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით უზრუნველყოს პაციენტთა შეფასება და იმ ბენეფიციართა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებებზე გადაყვანა, რომლებსაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ბათუმში ამოქმედდა 24 ბენეფიციარზე გათვლილი გრძელვადიანი ტიპის საცხოვრისი. ამასთანავე, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2021-2022 წელს კიდევ აშენდება 4 საცხოვრისი ქ. ქუთასში, ქ. ფოთსა და სენაკში. სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ სამუშაოებს, თუმცა არსებული პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის გაღებაა საჭირო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ნ) პაციენტის მკურნალობის დაწყებისას, გაგრძელებისას და მკურნალობის სქემის შეცვლისას ყველა ეტაპზე სავალდებულო გახადოს „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მე-13 დანართით გათვალისწინებული №IV-300-12/ა ფორმის შევსება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ დავალებაში გათვალისწინებული თანხმობის ფორმის შევსება სავალდებულოა სამედიცინო ჩარევების წინ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო არ უზრუნველყოფდა პაციენტის მკურნალობის დაწყებისას, გაგრძელებისას და მკურნალობის სქემის შეცვლისას ყველა ეტაპზე, თანხმობის ფორმის შევსებას, „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მე-13 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ო) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაავალოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მათი თანამდევი, გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს არ შეუსწავლია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მათი თანამდევი, გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

პ) უზრუნველყოს, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა გააგრძელოს პაციენტთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შედგენა, განახლება და მიღებული შედეგების შეფასება

საანგარიშო პერიოდში არ მიმდინარეობდა პაციენტთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შედგენის, განახლების და მიღებული შედეგების შეფასების პროცესი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჟ) უზრუნველყოს ფსიქიატრიული შემთხვევის მართვის საკითხებზე ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის სწავლება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სასწავლო მასალებისა და კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების გამოყენებით

ფსიქიატრიული შემთხვევების მართვის საკითხებზე ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის სწავლება საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

რ) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში დასაქმებული ყველა სოციალური მუშაკის გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი

საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა ფსიქიატრიულ სტაციონარებში დასაქმებული ყველა იმ სოციალური მუშაკის გადამზადება, რომლებსაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ს) ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობების დაკმაყოფილების მიზნით შეამოწმოს შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თავშესაფარსა და ქალთა და მამაკაცთა განყოფილებებში, აგრეთვე ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიულ სტაციონარში არსებული მდგომარეობა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ, 2020 წელს სტაციონალური დაწესებულების სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შეფასების მიზნით, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თავშესაფარში შემოწმება არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ტ) განახორციელოს ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი, გააკონტროლოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს მიერ არ ყოფილა უზრუნველყოფილი ფსიქიატრიული დაწესებულებების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი, ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააგრძელოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტებისთვის სატელეფონო კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტებისთვის სატელეფონო კომუნიკაცია კვლავ არ არის ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ფ) უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად ქალის დაორსულების შემთხვევაში ორსულობის დაფინანსებისთვის საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიება

კვლავ არ არის უზრუნველყოფილი, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად ქალის დაორსულების შემთხვევაში ორსულობის დაფინანსებისთვის საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიება

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ქ) მოახდინოს იმ საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედისა და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ შვებულებით სარგებლობის საკითხი (შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს)

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი" შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება გაიყო ორ ნაწილად: შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის მოვლის გამო. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ საკანონმდებლო ცვილებას, თუმცა აღნიშნავს, რომ დავალების სრულყოფილად შესასრულებლად საჭიროა მსგავსი ტიპის ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესახებ დაინიცირდეს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული

ღ) ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ოჯახის დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული საშუალებით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისა და რეფერირების წესში" 2021 წლის 11 თებერვალს შეტანილ იქნა ცვლილება, თუმცა აღნიშნული ცვლილებებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ოჯახის დეკლარაცია ხელმისაწვდომი კვლავ არ არის ბრაილის შრიფტით.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ყ) კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართოს საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და შესაბამისი დაცვისა და დახმარების მომსახურებების ხელმისაწვდომობის საკითხებზე

2020 წლის 30 ივლისს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და სსიპ-„სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს" ჩართულობით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან, კერძოდ, სოფელ ზარდიაანთკარის მაცხოვრებლებთან. ღონისძიების ფარგლებში, განხილული იქნა ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობის და გენდერული თანასწორობის საკითხები. ასევე, 2020 წლის 10 ოქტომბერს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

შ) შეიმუშაოს სისტემური ხედვა პოსტნატალური ზრუნვის საკითხზე და დედათა ჯანმრთელობის პროგრამების ყველა ეტაპზე უზრუნველყოს მათში ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურების ინტეგრირება

სამინისტროს ინფორმაციით მიმდინარეობს მუშაობა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის განვითარების ახალ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაზე და აღნიშნულ კონტექსტში იქნება განხილული პოსტნატალური ზრუნვის საკითხები. საანგარიშო პერიოდში, დედათა ჯანმრთელობის პროგრამებში არ მომხდარა ფსიქოლოგიური დახმარების სერვისების ინტეგრაცია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჩ) გადაამზადოს სოციალური მუშაკები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში, ამასთანავე, შეიმუშაოს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ სოციალურ მუშაკთა მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას

ც) სოციალური მუშაკებისთვის შეიმუშაოს სპეციალური სახელმძღვანელო წესები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, აგრეთვე ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე მუშაობისთვის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე, სოციალური მუშაკების გადამზადების კუთხით კონკრეტული ღონისძიება არ განხორციელებულა. ასევე არ შემუშავებულა სოციალური მუშაკებისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, აგრეთვე ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე მუშაობისთვის

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ჩ" და "ც" დავალებები არ არის შესრულებული</u>

ძ) გააგრძელოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ორგანიზაციული და სტრუქტურული გაძლიერება, მათ შორის, რეგიონული ოფისებით აღჭურვით

ჰ[61]) დააჩქაროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ორგანიზაციული და სტრუქტურული გაძლიერება, მათ შორის, რეგიონული ოფისებით აღჭურვით [18]

2020 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ", ასევე შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში", რის შედეგადაც გაიზარდა უწყების მანდატი და ვრცელდება როგორც შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე, ისე შრომის უფლებებზეც.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 168 საშტატო ერთეულით, რომელთაგან შრომით უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობაზე პასუხიმგებელ პირთა რაოდენობა ჯამში 120 ერთეულს შეადგენს. მიმდინარე ეტაპზე შრომის ინსპექციის სამსახური დაკომპლექტებულია 80 თანამშრომლით. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სტრუქტურის ბიუჯეტი 2021 წლისთვის შეადგენს 6 მლნ. ლარს.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, 2020 წლიდან შეძენილია 14 ავტომობილი, მზომი ხელსაწყოები და კომპიუტერული ტექნიკა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის „ძ" და „ჰ[61]" დავალებები შესრულებულია</u>

წ) შეიმუშაოს მკაფიო გეგმა პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებების (პრევენცია, სკრინინგი, მკურნალობა, მართვა) ეფექტიანად და ხარისხიანად მისაწოდებლად და განსაზღვროს მისი განხორციელების ვადა

ხ) დანერგოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემა, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი ინდიკატორები. ამ ინდიკატორების შესრულების მონიტორინგი პროაქტიულად განხორციელდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ შეუმუშავებია მკაფიო გეგმა პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებების (პრევენცია, სკრინინგი, მკურნალობა, მართვა) ეფექტიანად და ხარისხიანად მისაწოდებლად. ასევე, საანგარიშო პერიოდში არ გაგრძელებულა საქმიანობა სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით, წინა წლებისგან განსხვავებით, რომლითაც განისაზღვრებოდა შესაბამისი ინდიკატორები და მოხდებოდა მათი შესრულებული პროაქტიული მონიტორინგი.

---

[18] "ძ' და „ჰ[51]" დავალებები სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „წ“ და „ხ“ დავალებები არ არის შესრულებული</u>

ჭ) გააგრძელოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებების ტარიფების ფორმირების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ ფასდება დავალების შესრულების მდგომარეობა. ასევე უწყებამ სრულყოფილად არ უპასუხა სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ შეკითხვას, კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია შემუშავებულია თუ არა ტარიფების განსაზღვრისთვის საჭირო მეთოდოლოგია. შესაბამისად, რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დავალების შესრულების მდგომარეობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჯ) გააააქტიუროს საექთნო ადამიანური რესურსის განვითარების, დამხმარე სამედიცინო პერსონალის (ექთნის/ფერშლის) პროფესიული საქმიანობისა და შრომის პირობების სტანდარტების, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოსთან“ კოორდინაციით, მოამზადა „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია“ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის N334 დადგენილება). თუმცა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობა არ განუხორციელებია. საექთნო ადამიანური რესურსის სფეროში მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის გატარება, კვალიფიციური და მოტივირებული საექთნო პერსონალით მოსახლეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საექთნო ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება, კვლავ გამოწვევად რჩება. შესაბამისად დავალების შესრულების მდგომარეობა უარყოფითად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ) დაიწყოს მუშაობა საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადის გონივრული შემცირებისთვის

საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადის გონივრული შემცირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამინისტროში არ დაწყებულა მუშაობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[1]) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიერ ინტელექტუალური შრომის შედეგად თანხის მიღების

შესახებ სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ ეს თანხა არ ჩათვალოს ოჯახის ამ წევრის პირად ფულად შემოსავლად

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისა და რეფერირების წესში" შეტანილ იქნა ცვლილება (11.02.2021 N01-14/ნ ბრძანება), რომლის თანახმადაც „დეკლარაციის „C4" პუნქტში – „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში", ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლები, მათ შორის მე-4 გრაფაში ქონების გაყიდვასა და ყიდვას შორის არსებული სხვაობა ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი გაყიდვის-ყიდვის დოკუმენტაციის საფუძველზე. ამ პუნქტში <u>არ გაითვალისწინება</u> ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ ბანკიდან, ლომბარდიდან აღებული კრედიტი/სესხი, აგრეთვე არასრულწლოვანი წევრის მიერ - ნებისმიერი სახის შეჯიბრებაში/კონკურსში/სპორტულ თამაშში მონაწილეობისათვის ან/და გამარჯვებისათვის მიღებული ფულადი სახის ჯილდო/პრიზი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[2]) უზრუნველყოს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის უმოკლეს ვადაში შემუშავება და ამ სტრატეგიის შესაბამისად დანერგოს თემზე დაფუძნებული სერვისები

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია, შესაბამისად არ დანერგილა თემზე დაფუძნებული სერვისები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[3]) გააქტიუროს ღონისძიებები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სუიციდის პრევენციის მიზნით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სუიციდის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება*

საქართველოს პარლამენტმა, არსებითად შეცვალა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი, შესაბამისად მისი შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[4]) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება, მისი საქმიანობის დეტალური აღწერა, ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრა და ამ მექანიზმის დანერგვა

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს არ შეუმუშავებია ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[5]) მიიღოს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების რაოდენობის გაზრდისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურების სათანადოდ განვითარებისთვის აუცილებელი ზომები გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ბიუჯეტი 2018 წელს შეადგენდა 77.8 ათას ლარს, 2019 წელს შეადგენს 88.0 ათას ლარს, ხოლო 2020 წელს დაგეგმილია 101 ათასი ლარი, 2021 – 119.6 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსური ზრდა, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სახალხო დამცველის რეკომენდაციით და საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებით დასახული მიზნის მიღწევას, შესაბამისად დავალების შესრულების მდგომარეობა არ ფასდება შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[6]) დაგეგმოს ფსიქიატრიის დარგში ადამიანური რესურსების გრძელვადიანი განვითარება და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები ამ ადამიანური რესურსების (ფსიქიატრები, ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრიის ექთნები, სოციალური მუშაკები) რაოდენობის გაზრდისა და ქვეყნის მასშტაბით სწორად განაწილების მიზნით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ დაგეგმილა ქმედითი ღონისძიებები ფსიქიატრიის დარგში ადამიანური რესურსების გრძელვადიანი განვითარების მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[7]) გააააქტიუროს ღონისძიებები ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და ზედამხედველობა გაუწიოს მისი განხორციელების პროცესს"*

საქართველოს სახალხო დამცველის მიზანი, განსახილველი რეკომენდაციით, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება იყო. საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა აღნიშნული მიზანი და მხოლოდ ღონისძიებების გააქტიურება დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[8]) უზრუნველყოს ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურებების მიმღებ პირთა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის წესისა და პროცედურების დადგენა ერთგვაროვანი, ეფექტიანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს არ ჩამოუყალიბებია ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურებების მიმღებ პირთა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის წესი და შესაბამისი პროცედურები, იმისათვის რომ ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ბენეფიციარებმა პრაქტიკაში შეძლონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სერვისებით სარგებლობა (ვერ სარგებლობენ აღნიშნული სერვისებით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული და სხვა ბარიერების გამო).

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[9]) მიიღოს ფსიქიკური აშლილობების ეროვნული გაიდლაინების განახლებისთვის, კერძოდ, მათში რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების სათანადოდ ასახვისთვის საჭირო ყველა ზომა

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„მიიღოს ყველა საჭირო ზომა ფსიქიკური აშლილობების ეროვნული გაიდლაინების იმგვარად განსაახლებლად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათში <u>ქალის სექსუალური</u> და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სათანადოდ ასახვა უახლესი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით."*

საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც ეროვნული გაიდლაინების განახლებისას, ქალის სექსუალური ჯანმრთელობის საკითხების სათანადო ასახვისკენ მოუწოდებდა, შესაბამისად რეკომენდაცია არ ფასდება სრულყოფილად გაზიარებულად.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის მიერ მომზადდა ფსიქიატრიულ კლინიკებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მიწოდების პროტოკოლი. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული დოკუმენტის მიღებას, თუმცა დავალების სრულყოფილად შესრულებისთვის აღნიშნულს არ მიიჩნევს საკმარისად და სახელმწიფო უწყებას მეტი ძალისხმევის გაღებისკენ მოუწოდებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[10]) საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის დროს ორსულობის მართვის პროტოკოლის შემუშავება დიაგნოზის მიხედვით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სახალხო დამცველის აპარატისთვის, ასევე, საქართველოს პარლამენტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო, აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობა ვერ ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[11]) უზრუნველყოს ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების მიერ რეფერირების განხორციელების შემთხვევებზე ზედამხედველობა და მათი ანალიზი

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *უზრუნველყოს <u>ფსიქიატრიული</u> დაწესებულებების, პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების მხრიდან ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული რეფერირების შემთხვევებზე ზედამხედველობა და ანალიზი.*

საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ის ნაწილი რომელიც ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის, ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებულ რეფერირების შემთხვევებზე ზედამხედველობას და ანალიზს თხოვდა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უწყებას არ განუხორციელებია ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების მიერ რეფერირების განხორციელების შემთხვევებზე ზედამხედველობა და მათი ანალიზი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[12]) გამოიკვლიოს ხანდაზმულთა დაწესებულებების პერსონალის საჭიროებები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები გამოკვეთილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ ფასდება დავალების შესრულების მდგომარეობა. სახელმწიფო უწყებას არ უპასუხია სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ შეკითხვებზეც, რომლებიც შეეხებოდა საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული მონიტორინგის ვადებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[13]) განახორციელოს ღონისძიებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად მისაწოდებლად; გადახედოს „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და შესაბამისი შემთხვევები უმოკლეს ვადაში განიხილოს

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიუხედავად, უწყებას გადაწყვეტილების უმოკლეს ვადაში მიღების მიზნით, არ გადაუხედავს „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[14]) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები გადიან;

ჰ[15]) გააძლიეროს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და მომუშავე სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა [19]

საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული „ჰ[14]" და „ჰ[15]" დავალებები, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით, შემდეგი ფორმულირებით.

> „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე

[19] "ჰ[14]" და „ჰ[15]" დავალებები, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით.

ექიმები გადიან, ასევე გაზარდოს მხარდაჭერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალისათვის."

„დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამაში" შესაძლებელია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისათვის ადამიანური რესურსის მომზადება. აღნიშნული ხელს უწყობს ექიმებით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებას ამ ტერიტორიებზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში, რაც, მიმდინარე ეტაპზე, სერიოზულ პრობლემებს ქმნის იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ასევე ანაზღაურებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული საექიმო სპეციალობების მაძიებლების დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამებში მზადების საფასურს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ჰ[14]" და „ჰ[15]" დავალებები შესრულებულია</u>

ჰ[16]) დაადგინოს დევნილთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან გამოსახლებისა და განსახლების წესი, რომლითაც განისაზღვრება მონიტორინგის ჩატარებისა და ფაქტობრივად ცხოვრების პირობების გამოკვლევისთვის საჭირო ყველა პროცედურა

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ დაუდგენია დევნილთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან გამოსახლებისა და განსახლების წესი, რომლითაც განისაზღვრებოდა მონიტორინგის ჩატარებისა და ფაქტობრივად ცხოვრების პირობების გამოკვლევისთვის საჭირო ყველა პროცედურა

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[17]) დევნილთა განსახლების სხვა პროგრამების მსგავსად, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე განაცხადის წარდგენის შემდეგ დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას მიანიჭოს მისი განხილვის ვადის განსაზღვრის უფლებამოსილება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების, პირველი დანართის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია რომ *<u>„მიღებული განაცხადების საფუძველზე, კომისია ადგენს წინასწარ განსაზღვრული კატეგორიის დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების წინასწარი შეფასების, მინიჭებული ქულების გადამოწმებისა და კომისიის მიერ განხილვის ვადებს, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში."</u>* აღნიშნულის გათვალისწინებით სახალხო დამცველი დავალებას შესრულებულად აფასებს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია

ჰ[18]) გააგრძელოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების ისეთი პრაქტიკა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის თავშესაფრით მოსარგებლე სხვა პირებს

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე მოწმდება, რაც საფრთხეს არ უქმნის თავშესაფრით მოსარგებლე სხვა პირებს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია

ჰ[19]) გააგრძელოს თავშესაფრების ფიზიკური გარემოს ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის მისაწოდებელი მომსახურების მაქსიმალურად დახვეწის მიზნით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ზრუნვის სააგენტოს ფილიალები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის, თუმცა აღსანიშნავია რომ განხორციელებული საქმიანობა მხოლოდ ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიემართებათ და არა სხვა შშმ პირებს, შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული

ჰ[20]) გააგრძელოს თავშესაფრების ეზოების, ინვენტარისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა

სახალხო დამცველის შეფასებით, თავშესაფართა ეზოების უმრავლესობის ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა მათი მოცულობის და მდებარეობის გათვალისწინებით ობიექტურად შეუძლებელია.

სახალხო დამცველის შეფასება: ობიექტური მიზეზების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.

ჰ[21]) გააძლიეროს საინფორმაციო კამპანია ქვეყანაში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მომსახურებების პოპულარიზაციისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;

ქვეყანაში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მომსახურების პოპულარიზაციისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, 2020 წლის 3 ივლისს, სოფელ ზარდიაანთკარში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა; 9 ოქტომბერს, სოფელ ორსანტიაში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა (გამყოფი ხაზის მიმდებარედ) საჯარო სკოლის პედაგოგებთან. 2020 წლის 14 დეკემბერს იურიდიული დახმარების ადვოკატებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე

"იურიდიული მექანიზმები და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ტენდენციები". ხოლო, ზრუნვის სააგენტოს მიერ 2020 წელს შეიქმნა ვიდეო/რადიო რგოლი ტრეფიკინგის შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[22]) დახვეწოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარში არსებული მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ ფასდება დავალების შესრულების მდგომარეობა, აგრეთვე უწყებას არ უპასუხია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაგზავნილ კითხვაზე, რომელიც თავშესაფრებში ფსოქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურების გაუმჯობესებას შეეხებოდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[23]) გააგრძელოს თავშესაფრების პერსონალის, მათ შორის, მედდისა და ძიძის, გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში

ჰ[24]) გააგრძელოს ფსიქოლოგისა და ძიძის სამუშაო საათების განსაზღვრის ისეთი პრაქტიკა, რომელიც მაქსიმალურად ერგება დასაქმებულ ბენეფიციართა საჭიროებებს

საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიდგომას, თავშესაფრის პერსონალის - ფსიქოლოგისა და ძიძის სამუშაო საათების იმგვარად განსაზღვრას, რომელიც მაქსიმალურად ერგება დასაქმებულ ბენეფიციართა საჭიროებებს. ასევე პოზიტიურად აფასებს, საანგარიშო პერიოდში თავშესაფრების პერსონალის, მათ შორის, მედდისა და ძიძის, გადამზადებას ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ჰ[23]" და „ჰ[24]" დავალებები შესრულებულია</u>

ჰ[25]) შეიმუშაოს რთული ქცევისა და ტრავმული გამოცდილების მქონე არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამები ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

ჰ[26]) ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით დაიწყოს რელიგიური კონფესიების პანსიონებში ჩარიცხულ ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული წესით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ წარმოუდგენია ინფორმაცია აღნიშნული

დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად მისი შესრულების მდგომაროება არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო „ჰ[25]“ და „ჰ[26]“ დავალებების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[27]) გააგრძელოს ზომების მიღება საქართველოში მოქმედი ყველა არალიცენზირებული რელიგიური სკოლა-პანსიონის გამოსავლენად და უზრუნველყოს მათი ლიცენზირება და კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება

საანგარიშო პერიოდში არ გაძლიერებულა სამინისტროს ძალისხმევა საქართველოში მოქმედი ყველა არალიცენზირებული რელიგიური სკოლა-პანსიონის გამოვლენის და ლიცენზირების მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[28]) გააძლიეროს რელიგიური კონფესიების პანსიონებში შიდა მონიტორინგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„სხვა რელიგიურ სკოლა-პანსიონებთან ერთად, განსაკუთრებით გაძლიერდეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში ეფექტიანი შიდა მონიტორინგი. ამასთან, გატარდეს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სახალხო დამცველის აპარატს, განახორციელოს აღნიშნულ პანსიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის სრული მონიტორინგი“*

საქართველოს პარლამენტმა დავალებაში არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის აპარატისთვის იმ გარანტიის მიცემა, რაც შესაძლებელს გახდიდა რელიგიური კონფესიების პანსიონატებში და განსაკუთრებით საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონიტორინგის განხორციელებას.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა, არ უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულებას, ვინაიდან რელიგიურ პანსიონატებში განხორციელებული მონიტორინგი არადამაკმაყოფილებელი ინტენსივობით ხასიათდება, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში რელიგიურ პანსიონატებში სახალხო დამცველის აპარატთან ერთად სოციალურ მუშაკებსაც არ ეძლევათ მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულის დასტურია ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატთან დაკავშირებული მოვლენები.

დაწესებულებაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, ასევე სოციალურ მუშაკებს წლებია არ ეძლევათ მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკები სისტემატურად უზრუნველყოფენ დაწესებულებების მონიტორინგს „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატთან" მიმართებით, სიმართლეს არ შეესაბამება. სოციალურ მუშაკებს ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატში ვიზიტის შესაძლებლობა, მხოლოდ სახალხო დამცველის 2021 წლის 16 აპრილის განცხადების შემდეგ მიეცათ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[29]) დაგეგმოს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სარეაბილიტაციო და თერაპიული ღონისძიებები და ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის მიზნით; ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში მუდმივად განახორციელოს ბავშვთან მომუშავე პირთა მიერ რეფერირების პროცედურების აღსრულების მონიტორინგი

სახალხო დამცველის აპარატის, ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველი ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს განსახილველი დავალების შესრულების მდგომარეობას და სახელმწიფო უწყებას ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის გაღებისკენ მოუწოდებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[30]) გადახედოს ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის დაძლევის პოლიტიკას, კერძოდ, შეაფასოს არსებული სოციალური პროგრამები და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ოჯახების მხარდაჭერის მიზნით დაგეგმოს ეფექტიანი, სიღარიბის პრევენციასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურებები ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

ჰ[63]) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებულ შინამეურნეობის კვლევებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის განახლებისა და მისი ეფექტიანობის პერიოდული შესწავლის მეთოდოლოგიის შემუშავება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებულ შინამეურნეობის კვლევებზე დაყრდნობით, ამ დრომდე არ არის განახლებული მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, აგრეთვე არ შემუშავებულა მისი ეფექტიანობის პერიოდული შესწავლის მეთოდოლოგია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „ჰ[30]" და ჰ[63]" დავალებები არ არის შესრულებული.</u>

ჰ[31]) შვილად აყვანის პროცესში ბავშვის შეთავაზების წესის დასახვეწად მოახდინოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> მოხდეს შვილად აყვანის პროცესში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ბავშვის შეთავაზების წესის საკითხზე, <u>კერძოდ, შეთავაზების საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ რეესტრში არსებული რიგითობა, არამედ ბავშვის საჭიროებები და საუკეთესო ინტერესი</u>

საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის არსებითი ინდიკატორი, კერძოდ, რეკომენდაციის შესაბამისად შვილად აყვანის პროცესში შეთავაზების საფუძვლად არა მხოლოდ რეესტრში არსებული რიგითობა, არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა განსაზღვრულიყო.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) შვილად აყვანის პროცესში ბავშვის შეთავაზების წესის დახვეწის მიზნით, სამინისტროს არ წარუდგენია ინიციატივა საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[32]) შვილად აყვანის საკითხზე მომუშავე სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები გადაამზადოს ბავშვის უფლებებისა და ინდივიდუალური საჭიროებების, ბავშვის რთული ქცევის მართვისა და პრევენციის საკითხებში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ დგინდება, საანგარიშო პერიოდში, შვილად აყვანის საკითხებზე მომუშავე რამდენი სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი გადამზადდა ბავშვის უფლებებისა და ინდივიდუალური საჭიროებების, ბავშვის რთული ქცევის მართვისა და პრევენციის საკითხებში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[33]) შვილად აყვანის საკითხზე მომუშავე სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალებისთვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები და სარეკომენდაციო მითითებები და ამ სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში განსაზღვროს ბავშვთან გასაუბრებისა და შეფასების წესი

შვილად აყვანის საკითხზე მომუშავე სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალებისთვის, საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა სახელმძღვანელო

პრინციპები და სარეკომენდაციო მითითებები, რომლებშიც განისაზღვრებოდა ბავშვთან გასაუბრებისა და შეფასების წესები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[34]) მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებში ბავშვთან შეხვედრისა და გასაუბრებისთვის მოაწყოს მისი საჭიროებებისთვის მორგებული, კეთილსაიმედო, ადაპტირებული გარემო ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში, მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებში ბავშვთან შეხვედრისა და გასაუბრებისთვის არ მოწყობილა, ბავშვის საჭიროებებისთვის მორგებული, კეთილსაიმედო და ადაპტირებული გარემო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[35]) უზრუნველყოს, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც იქნეს მიწოდებული

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, კვლავ არ ფარავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[36]) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსური და ადამიანური რესურსებით გააძლიეროს; შეაფასოს მობილური ჯგუფების საქმიანობის ხარისხი და შეიმუშაოს შეფასების ეფექტიანი ფორმა, რომლითაც განისაზღვრება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და რისკები [20]

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე თითოეულ იდენტიფიცირებულ ბავშვზე ხდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება. "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №825 დადგენილებით დამტკიცებულ "მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას" დაემატა ღონისძიებები, რათა გაძლიერდეს მიუსაფარ ბავშვთა ოჯახებთან მუშაობა.

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ საქმიანობას, თუმცა აცხადებს, რომ იგი სრულყოფილად ვერ პასუხობს დავალების მიზნებს, კერძოდ კვლავ ვერ ფასდება მობილური ჯგუფების საქმიანობის ხარისხი, რაც დავალების არსებითი ინდიკატორი იყო.

---

[20] " ჰ[35] და ჰ[36] დავალებები, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[37]) უზრუნველყოს ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების ოჯახების ადრეული გამოვლენა და მათთვის ეფექტიანი მომსახურების დროულად მიწოდება ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

ჰ[38]) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებისა და მშობლებისთვის შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი სერვისები მათი გადაუდებელი მატერიალური მხარდაჭერისა და აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, აგრეთვე დასაქმების მოტივაციის გასაძლიერებლად და შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ განუხორციელებია ისეთი საქმიანობა, რაც უზრუნველყოფდა ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების ადრეულ გამოვლენას. ასევე არ შემუშავებულა და დანერგილა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, ოჯახებისა და მშობლებისთვის დამატებითი სერვისები მათი გადაუდებელი მატერიალური მხარდაჭერისა და აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, აგრეთვე დასაქმების მოტივაციის გასაძლიერებლად და შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ჰ[37]“ და „ჰ[38]“ დავალებები არ არის შესრულებული</u>

ჰ[39]) გააააქტიუროს ღონისძიებები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, აგრეთვე მათ მიმართ მგრძნობელობის ამაღლების მიზნით; დაგეგმოს საინფორმაციო კამპანიები შესაბამის თემებზე, მათ შორის, ქუჩაში ბავშვებისთვის მოწყალების გაღებისა და ამ ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების საკითხებზე, ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული იყო რამდენიმე საინფორმაციო კამპანია, კერძოდ „საქართველოს კარიტასის“ ბავშვთა პროგრამის ფარგლებში, მობილური ჯგუფების მონაწილეობით, განხორციელდა სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებული კამპანია “ემეგობრე”. ასევე შეიქმნა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალა კამპანიის გზავნილებით; თბილისის და რუსთავის ხალხმრავალ ადგილებში მოეწყო აქციები, შეიქმნა სოციალური ვიდეო რგოლი „შენი საყვარელი ბავშვობის მოგონება“ და გავრცელდა კამპანიის გზავნილებით, შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, შეიქმნა კამპანიის ვებ-გვერდი და FB გვერდი; ასევე გაიმართა შეხვედრები სტუდენტებთან. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული ტიპის საქმიანობის განხორციელებას, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს მეტი აქტიურობა მართებს, შესაბამისად დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული

ჰ[40]) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარებს 18 წლის შესრულების შემდეგ მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ისევ არის გაცემული იგივე რეკომენდაცია. შესაბამისად, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი სერვისები კვლავაც არ ითვალისწინებს 18 წლის შემდგომ ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდებას .

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ჰ[41]) გააძლიეროს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრები ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, გაზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრები, საანგარიშო პერიოდში არ გაძლიერებულია ადამიანური და ფინანსური რესურსით, ასევე არ გაზრდილა სოციალური მუშაკების რაოდენობა.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული

ჰ[42]) დანერგოს ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, აგრეთვე შეფასების პროცესის, ინსტრუმენტისა და კრიტერიუმების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი ხარვეზებისა და არასათანადო რეაგირების გამოსავლენად/თავიდან ასაცილებლად

2020 წელს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ პარტნიორობით განახორციელა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ეფექტიანობის შეფასების კვლევა, რომლის მიზანი იყო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის აღსრულების პროცესის შეფასება. კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების და გაცემული რეკომენდაციები საფუძველზე, მოხდება ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, არსებული ინსტრუმენტის და შეფასების კრიტერიუმების მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა. სახალხო დამცველი მიესალმება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, თუმცა აღნიშნავს, რომ აღნიშნული დავალება არ შეფასდება სრულყოფილად შესრულებულად სანამ სრულად არ იქნება დანერგილი ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, აგრეთვე შეფასების პროცესის, ინსტრუმენტისა და კრიტერიუმების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული

ჰ[43]) ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან მუშაობის საწყის ეტაპზე ჩართოს ფსიქოლოგი და დაგეგმოს ბავშვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესი ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის საწყის ეტაპზე კვლავ არ არის ჩართული ფსიქოლოგი, აგრეთვე არ იგეგმება ბავშვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[44]) უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელ და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შეფასება, გამოავლინოს მათი უფლებების დარღვევა და, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მასზე სათანადო რეაგირება მოახდინოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2021 წლის პირველ თებერვალს № 01/1252 წერილით მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სამინისტრომ სრულყოფილად არ უპასუხა სახალხო დამცველის აპარატის შეკითხვას, რომელიც დავალების სამიზნე ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შეფასების მიზნით, სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას შეეხებოდა. შესაბამისად მოწოდებული ინფორმაციის ფარგლებში, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დავალების შესრულების მდგომარეობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო" დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[45]) შეისწავლოს პანსიონატების ბენეფიციართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის, ასევე უწყების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დადგინდა, რომ შესწავლილია პანსიონატების ბენეფიციართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[46]) გააძლიეროს სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ ხანდაზმულთათვის მომსახურების მიწოდების რეგულარული მონიტორინგი

სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო რეგულარულად ახორციელებს გეგმიურ (წელიწადში ორჯერ) და საჭიროებიდან გამომდინარე, არაგეგმიურ მონიტორინგს. აღნიშნული საქმიანობა ცალსახად მისასალმებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ დავალების გაცემის შემდგომ

უწყებას ამ მიმართულებით საქმიანობა არ გაუძლიერებია. სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით ამ მიმართულებით საჭიროა მეტი პროაქტიული საქმიანობის განხორციელება, რათა შემდგომ წლებში დავალება სრულყოფილად შესრულებულად შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[47]) პანსიონატების ბენეფიციარებზე ზრუნვის პროცესში, მათ შორის, მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობაში, ჩართოს სოციალური მუშაკი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ამ დროისთვის მიმდინარეობს სოციალური მუშაკების მოძიების პროცესი, ასევე 2020 წლის მარტის თვიდან თბილისის და ქუთაისის ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში დაემატა 1 შტატი (სოციალური მუშაკის პოზიციაზე). ქუთაისის პანსიონატში უკვე დაინიშნა სოციალური მუშაკი, რომელიც შეუდგა მუშაობას. შესაბამისად განხორციელებული პოზიტიური საქმიანობიდან გამომდინარე, დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[48]) ბენეფიციართა ინტერესებისთვის მორგებული პირობების გათვალისწინებით, სს „ლიბერთი ბანკთან" აწარმოოს მოლაპარაკებები დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესატანად

ბენეფიციართა ინტერესებისთვის მორგებული პირობების დადგენის მიზნით, საანგარიშო პერიოდში არ გამართულა მოლაპარაკებები სს „ლიბერთი ბანკთან", თუმცა აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკმა, დაამტკიცა ბრძანება №44/04 „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე". აღნიშნულის თანახმად სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი 1000 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებისთვის ყოველთვიურად 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისად იმ პენსიონრებს, რომლებსაც არ აქვთ სხვა შემოსავალი, ხვდებიან აღნიშნული რეგულირების ფარგლებში და 50%-იანი კოეფიციენტი 25%-მდე უმცირდებათ, რაც სახალხო დამცველის შეფასებით მისასალმებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების მიზანი უწყებისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო მიღწეულია, აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობა არ დაექვემდებარა შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: უწყებისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[49]) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების 21 ობიექტიდან გამოავლინოს ისეთი შენობები, რომელთა მდგრადობა ბოლო 2 წლის განმავლობაში არ შემოწმებულა, და მათი მდგომარეობა საექსპერტო შეფასებების ჩატარებით გადაამოწმოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ ფასდება დავალების შესრულების მდგომარეობა. უწყებას ასევე პასუხი არ გაუცია სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა იმ ობიექტების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ შემოწმებულან; ასევე სახალხო დამცველის აპარატმა უწყებას იმ ობიექტების შესახებაც მოსთხოვა ინფორმაცია, რომლებსაც საექსპერტო შეფასება ჩაუტარდა. შესაბამისად არსებული ინფორმაციის საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დავალების შესრულების მდგომარეობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო“ დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[50]) საექსპერტო შეფასებების ჩატარებით პროაქტიულად გადაამოწმოს დევნილთა განსახლების ობიექტების მდგრადობა, რათა შესაძლებელი გახდეს ე.წ. ნგრევადი შენობების რაოდენობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება

საანგარიშო პერიოდში საექსპერტო შეფასებების ჩატარებით პროაქტიულად არ გადამოწმებულა დევნილთა განსახლების ობიექტების მდგრადობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ე.წ. ნგრევადი შენობების რაოდენობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება. სააგენტოს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით დგინდება რომ ჩატარებული 36 ობიექტის ექსპერტიზიდან არც ერთი არ ყოფილა პროაქტიული გადამოწმების შედეგი, ყველა შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარებას წინაპირობად მოქალაქეთა მიმართვიანობა უძღოდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[51]) მაქსიმალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი დევნილთა ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან ოჯახების გამოსახლებისა და გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ხოლო საკმარისი რესურსის (გასანაწილებელი ბინების) არარსებობის შემთხვევაში ეს ოჯახები გრძელვადიან განსახლებამდე ქირით უზრუნველყოს

2020 წელს, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენა გასანაწილებელი ბინების რესურსი და განახორციელა 96 ნგრევადი და სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან (68 სამეგრელოს რეგიონი, 28 იმერეთის რეგიონი) დევნილ ოჯახთა განსახლება. გასანაწილებელი ბინების არასაკმარისი რესურსის გამო, დევნილ ოჯახთა გარკვეულმა რაოდენობამ მიიღო ადმინისტრაციული დაპირება, განსახლების მომდევნო ეტაპზე საცხოვრებლებით უზრუნველყოფის თაობაზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არის ნაწილობრივ შესრულებული</u>

ჰ[52]) საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – გარემოს ეროვნული სააგენტოსგან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოავლინოს მაღალი

რისკის ქვეშ მცხოვრები ოჯახები და განსახლებისთვის გამოყოფილი თანხა შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მოახმაროს ამ ოჯახების განსახლებას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების საფუძველზე, გამოვლინდეს მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრები ოჯახები და განსახლებისათვის გამოყოფილი თანხის მინიმუმ 30% მოხმარდეს ასეთი ოჯახების განსახლებას*

საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შეფასების ინდიკატორი, შესაბამისად სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დავალების შესრულების მდგომარეობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილების გამო, დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[53]) გააქტიუროს 2004–2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის პროცესი

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *2020 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.*

საქართველოს პარლამენტმა შეცვალა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შეფასების არსებითი ინდიკატორი. კერძოდ, პარლამენტმა სამუშაოების დასრულების ნაცვლად, უწყებას საქმიანობის გააქტიურება დაავალა.

სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ 2020 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის N1148 განკარგულების შესაბამისად, 113 ოჯახს მიეცა საშუალება საკუთრებაში დაერეგისტრირებინა 2004-2012 წლებში სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ასევე, 141 ოჯახზე დასრულებულია დოკუმენტაციის წარმოება და მასალები გაგზავნილია სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადების პროცედურების დაწყების მიზნით. აგრეთვე, დაწყებულია 120 ოჯახისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების დადგენილი წესით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია, მათი შემდგომში

კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნულმა საქმიანობამ საპარლამენტო დავალების შესრულება გამოიწვია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[54]) ბენეფიციარის საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშაოს მისი მომსახურების ინდივიდუალური გეგმა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზირებულ დაწესებულელებში თითოეული ბენეფიციარისადმი მიდგომები ინდივიდუალურია, იქნება ეს ინდივიდის ბიოლოგიური რიტმი, გემოვნება, მკურნალობა თუ ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია არ არის საკმარისი დავალების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, სახელმწიფო უწყებამ არ უპასუხა სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ კონკრეტულ შეკითხვას ინდივიდუალური გეგმის შესახებ, შესაბამისად არსებული ინფორმაციის ფარგლებში სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დავალების შესრულების მდგომარეობა. .

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო" დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[55]) აქტიური დაბერების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშაოს სოციალური ღონისძიებების გეგმა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია. სამინისტრომ აგრეთვე არ უპასუხა სახალხო დამცველის აპარატის შეკითხვას სოციალური აქტივობების გეგმის შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[56]) გამოავლინოს მხარდამჭერის საჭიროების მქონე ბენეფიციარები და მიიღოს ზომები მათთვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცედურების დასაწყებად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ზრუნვის სააგენტომ სასამართლოს მიმართა ფილიალებში მყოფი ქმედუუნაროდ ცნობილი პირების მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მათი საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების მიზნით. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სამინისტროს საქმიანობას და დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[57]) შეიმუშაოს ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობისა და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და

უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ფსიქიატრიული მომსახურების მიმღები პირებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან მიიღოს კონფიდენციალური/ღია საჩივრები ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და განახორციელოს ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელთა რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი [21]

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობისა და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ფსიქიატრიული მომსახურების მიმღები პირებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან მიიღოს კონფიდენციალური/ღია საჩივრები, ასევე სამინისტროს არ განუხორციელებია ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელთა რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი .

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[58]) უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად გამოხატული და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აღრიცხვა (სტატისტიკის წარმოება) მათ მიერ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით სარგებლობისთვის მისი ხელმისაწვდომობის მიზნით [22]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად გამოხატული და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აღრიცხვა (სტატისტიკის წარმოება) არ უწარმოებია, რაც შესაძლებელს გახდიდა მათი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[59]) უზრუნველყოს ნორმატიული აქტების გამოცემა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე საბჭოს 1989 წლის 30 ნოემბრის 89/654/EEC დირექტივის, სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის 2009/104/EC დირექტივისა და მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და

---

[21] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[22] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე საბჭოს 1990 წლის 29 მაისის 90/270/EEC დირექტივის დებულებათა შესასრულებლად [23]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საანგარიშო პერიოდში დაიწყო დავალებაში მითითებული ნორმატიული აქტების მომზადების პროცესი. უწყების მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ამ დროისთვის დირექტივები თარგმნილია ქართულ ენაზე. ამ ეტაპზე შემუშავებულია პირველადი პროექტები, მაგრამ დოკუმენტები საჭიროებს ტექნიკურ ექსპერტიზას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[60]) განახორციელოს ღონისძიებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მრეწველობასა და ვაჭრობაში შრომის ინსპექციის შესახებ" №81 კონვენციის, „სოფლის მეურნეობაში შრომის ინსპექციის შესახებ" №129 კონვენციისა და „სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ" №155 კონვენციის რატიფიცირების პროცედურების დასაწყებად [24]

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, არ განახორციელა ღონისძიებები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მრეწველობასა და ვაჭრობაში შრომის ინსპექციის შესახებ" №81 კონვენციის, „სოფლის მეურნეობაში შრომის ინსპექციის შესახებ" №129 კონვენციისა და „სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ" №155 კონვენციის რატიფიცირების პროცედურების დასაწყებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[62]) გააძლიეროს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენას, კიბოს გავრცელების პრევენციას და ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას [25]

საანგარიშო პერიოდში არ გაძლიერებულა ქვეყანაში არსებული სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენას, კიბოს გავრცელების პრევენციას და ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

---

[23] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[24] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[25] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ჰ[64]) გაზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის, ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის, დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფისა და სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამების შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირისთვის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, საჭიროებების კვლევის, მომსახურებაში გამოკვეთილი ხარვეზების/გამოწვევების შესწავლის, დაფინანსების გაზრდისა და მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის სწავლების/გადამზადების გზით [26]

საანგარიშო პერიოდში, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის, ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის, დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფისა და სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამების შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა პირისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში გაიზარდა პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული არეალი და ფინანსური შესაძლებლობები. აღსანიშნავია რომ საჭიროებების კვლევის მიმართულებით სამინისტროს კონკრეტული საქმიანობა არ განუხორციელებია, ასევე მომსახურების მიმწოდებელი პერსონალისთვის არ ჩატარებულა შესაბამისი სწავლება/გადამზადება. შესაბამისად სახალხო დამცველი აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[65]) უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა და მათთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება [27]

საანგარიშო პერიოდში, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები სამიზნე ჯგუფად არ არის გათვალისწინებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[66]) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით, სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტთან ერთად, გაითვალისწინოს სმენის რეაბილიტაციისა და სასმენი ტექნოლოგიების სრული ხელმისაწვდომობის კომპონენტი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სასმენი ტექნოლოგიების სრული ხელმისაწვდომობის მიზნით,

---

[26] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[27] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

2020 წლიდან ხანდაზმულებისათვის გამარტივდა სმენის აპარატის გაცემის პროცედურა - დამხმარე საშუალება გაიცემა ფორმა 100-ის საფუძველზე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გავლისა და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გარეშე. ხოლო 2021 წლიდან ამავე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის 100 ცალი პედიატრიული ციფრული სმენის აპარატის შეძენა და გაცემა.

სახალხო დამცველი მიესალმება ბენეფიციარების სასმენი აპარატებით უზრუნველყოფას, თუმცა აღნიშნავს, რომ აპარატებთან დაკავშირებით ბენეფიციარებისთვის ტექნიკური სერვისით უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფო უწყებას მეტი აქტიურობა მართებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ[67]) უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა [28]

"სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" "სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის'' ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წლის 1 ივლისიდან დაემატა შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი. 2020 წელს აღნიშნული პროგრამა გათვლილი იყო 58 ბენეფიციარზე, რაც გასულ წელთან შედარებით 28 ერთეულით მეტია. მიუხედავად განხორციელებული პოზიტიური საქმიანობისა, სახალხო დამცველის შეფასებით აღნიშნული მიმართულებით უწყებამ საქმიანობა უნდა გააქტიუროს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჰ[68]) უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბიუჯეტის ისე გაზრდა და განაწილება, რომ შესაძლებელი გახდეს ბენეფიციარებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო ღონისძიებების მომსახურების მიმწოდებელი კვალიფიციური კადრების მიერ მიწოდება [29]

„დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" დაფინანსება. 2021 წელს, 6 300 000 ლარიდან, 7 514 000 - ლარამდე გაიზარდა. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულმა ზრდამ ვერ უზრუნველყო

---

[28] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[29] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ბენეფიციარებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო ღონისძიებების, კვალიფიციური კადრების მიერ მიწოდება .

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[69]) უზრუნველყოს მისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების, უნივერსალური დიზაინის სტანდარტებისა და პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მარეგულირებელი ნორმებისა და ვალდებულებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება საზოგადოებისა და პასუხისმგებელი სუბიექტებისთვის სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად [30]

საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა უზრუნველყოფილი მისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების, უნივერსალური დიზაინის სტანდარტებისა და პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მარეგულირებელი ნორმებისა და ვალდებულებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჰ[70]) მისაწვდომობის ეროვნული გეგმა შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისა და ამ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით, ამ გეგმაში გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის განკუთვნილი ობიექტების/მომსახურებების და საჯარო დაწესებულებების მისაწვდომობის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, ამასთანავე, აღნიშნული გეგმით განსაზღვროს მისი შემჭიდროებულ ვადაში განხორციელება [31]

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, აღნიშნული დავალება მიემართებოდა საქართველოს მთავრობას. საქართველოს პარლამენტის მიერ რეკომენდაციის ადრესატი უწყების ცვლილების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას, იმდენად, რამდენადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი შეიმუშავოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაციის ადრესატი უწყების ცვლილების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

---

[30] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

[31] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა, განსახილველი საპარლამენტო დადგენილებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ 3 დავალება გასცა.

3 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის შედეგად, შემდეგი მდგომარეობა გამოიკვეთა:

- შესრულდა: 1
- არ შესრულდა: 2

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალება:

ა) გააგრძელოს სოფლებში მცხოვრები მეწარმე ქალების პროფესიული განვითარება და ეკონომიკური გაძლიერება მათთვის ტრენინგების ჩატარებითა და პროექტების მართვის უნარ-ჩვევების სწავლებით

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალების პროფესიულ განვითარებას და ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო ღონისძიებების გამართვას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დაფინანსებულია 3785 მეწარმე ქალი. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, პროგრამის მიერ გაცემულია 18 565 843 ლარი. პროგრამის ფარგლებში 2020 წელს 2056 ქალი გადამზადდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ბ) დახვეწოს მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზედაც მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებისას გათვალისწინებული იქნება შესაბამისი რეგიონის სპეციფიკა და საჭიროებები

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს არ განუხორციელებია ისეთი საქმიანობა, რაც დახვეწდა მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებას და უზრუნველყოფდა შესაბამისი რეგიონის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) უზრუნველყოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყოფა და განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და აღნიშნულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად საჭირო საკანონმდებლო ღონისძიებები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ამ დრომდე არ გამოუყვია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და არც საკანონმდებლო ღონისძიებები განუხორციელებია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად .

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ 33 დავალება გაიცა.

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის ტექსტში არსებითი ცვლილების განხორციელების გამო ერთი დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია, ხოლო ერთ შემთხვევაში უწყებისგან დამოუკიდებელი, ობიექტური საფუძვლით ვერ მოხერხდა დავალების შესრულება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულდა: 8
- არ შესრულდა: 12
- ნაწილობრივ შესრულდა: 10
- ობიექტური მიზეზის გამო არ ექვემდებარება შეფასებას: 1
- რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილება: 1
- რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას: 1

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომაროების დინამიკა გასული წლის მონაცემებთან შედარებით.





საპარლამენტო დავალებები:

ა) უზრუნველყოს სკოლის მასწავლებელთა გადამზადება განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა კანონით განსაზღვრული, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უწყებას არ გადაუმზადებია სკოლის მასწავლებლები, განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა კანონით განსაზღვრული, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) გააძლიეროს ადამიანის უფლებათა სწავლება საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით“*

სახალხო დამცველის მიზანი, ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება იყო. საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო

დამცველის მიერ განსაზღვრული საქმიანობის კონკრეტული ფორმა და უწყებას მხოლოდ სწავლების გაძლიერება დაავალა. შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება არ არის თანხვედრაში სახალხო დამცველის მიზანთან.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

გ) სკოლების მასწავლებლებისა და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი ტრენინგპოლიტიკის დოკუმენტი;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, სკოლების მასწავლებლებისა და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის, არ შემუშავებულა ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი ტრენინგპოლიტიკის დოკუმენტი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

დ) შეიმუშაოს სკოლებში სუიციდის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენის მეთოდოლოგია და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენით მოახდინოს რეფერირება, ამასთანავე, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად;

საანგარიშო პერიოდში, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მომზადდა ინსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს კრიზისის გარკვეულ სიტუაციებზე, მათ შორის სუიციდური ქცევის დროს, მყისიერად რეაგირების წესებს კრიზისული სიტუაციის აღმოფხვრისა და აღდგენითი პროცესის წარმართვის მიზნით. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული დოკუმენტის მომზადებას, თუმცა აღნიშნავს რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალების მიზანს, არა მხოლოდ სუიციდურ ქცევაზე შემდგომი რეაგირება, არამედ სუიციდის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენის მეთოდოლოგიის შემუშავება წარმოადგენს, შესაბამისად დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ე) სკოლებში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში განათავსოს ინფორმაცია მათი უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ამ მექანიზმების საკონტაქტო მონაცემების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ყველა სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია ბავშვის დახმარების ცხელი ხაზის „111“ შესახებ. თითოეულ მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა სანიშნეები „112“ თემატიკაზე. აღნიშნული საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების სრულყოფილად შესრულებას, იმდენად, რამდენადაც ბავშვებს, მხოლოდ უფლებადაცვითი უწყებების საკონტაქტო მონაცემები გადაეცათ,

ხოლო დავალების მიზანი ამ მექანიზმების შესახებ ბავშვებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება იყო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ვ) სკოლებში ბავშვებთან მომუშავე პერსონალს აქტიურად ჩაუტაროს ტრენინგები და გადაამზადოს იგი ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკებისა და ბავშვთა რთული ქცევის მართვის საკითხებში

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, 11 საპილოტე სკოლაში ბავშვებთან მომუშავე პერსონალთან ჩატარდა შემდეგი ისეთი ტრენინგები, როგორიცაა დესტრუქციული და ძალადობრივი ქცევის ამოცნობა და პრევენცია, თანასწორგანმანათლებლობა და ა.შ. სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, თუმცა აღნიშნავს, რომ საპილოტე პროგრამები ვერ უზრუნველყოფს დავალების სრულყოფილად შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ზ) შეიმუშაოს პანსიონური მომსახურების ერთიანი სტანდარტი და დანერგოს შესაბამის დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ დრომდე არ შეუმუშავებია პანსიონური მომსახურების ერთიანი სტანდარტი. შესაბამისად არ დანერგილა დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმ(ებ)ი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

თ) შეიმუშაოს მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევების აღრიცხვისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგია და სტანდარტი

სამინისტროს მიერ, ამ დრომდე არ არის შემუშავებული სკოლის მიტოვების შემთხვევების აღრიცხვისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგია და სტანდარტი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ი) უზრუნველყოს, რომ მულტიდისციპლინურმა გუნდმა დროულად შეაფასოს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებები და მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს სპეციალური პედაგოგი

სახალხო დამცველის აპარატის, ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მულტიდისციპლინური გუნდი სათანადო დროში, არ უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენას და პედაგოგის ხელმისაწვდომობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

კ) უზრუნველყოს საქართველოში მყოფ საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელ და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთათვის ზოგადი განათლების მიწოდებისას გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინება

საქართველოში მცხოვრები საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელი და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვნებისთვის, ზოგადი განათლების მიწოდების პროცესში არ არის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა გათვალისწინებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ლ) გაზარდოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა და გააძლიეროს არსებულ ცენტრთა შესაძლებლობები.

საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

მ) უზრუნველყოს ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების, აგრეთვე საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული შშმ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა (სტატისტიკის წარმოება).

საქართველოს მთავრობის 2020 წლს 10 სექტემბრის N573 დადგენილებით დამტკიცდა ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა", რაც შესაძლებელს გახდის ჩართულ უწყებებს შორის მონაცემების გაცვლის საფუძველზე გამოვლინდეს 6-დან 16 წლის ასაკის სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდები. ჩართულ სახელმწიფო უწყებებს შორის მონაცემთა გაცვლის შედეგად იდენტიფიცირდა 616 შშმ პირი, რომელსაც არასდროს ჰქონია მოსწავლის სტატუსი. 2021 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით, ზოდად განათლებაში: სსსმ პირების რაოდენობა შეადგენს - 10029-ს, ხოლო შშმ პირების რაოდენობა - 1250-ს. პროფესიულ განათლებაში: სსსმ პირების რაოდენობა - 353 (უშუალოდ 2020 წელს ჩარიცხული სსსმ პირების რაოდენობა - 162).

სახალხო დამცველის შეფასებით, სამინისტროს მიერ, აღნიშნული მონაცემების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობა პოზიტიურია დავალება შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ნ) უზრუნველყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული სატრენინგო მოდულების/პროგრამების გამოყენებით სკოლების მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გადამზადება შშმ, სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების საკითხში, მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, მძიმე და მრავლობითი

დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდების, კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენებისა და მოსწავლეთა შეფასების საკითხებში

საანგარიშო პერიოდში, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი განხორციელდა დისტანციურად და კურსი გაიარა 380-მა სპეციალურმა მასწავლებელმა. სოციალურ მუშაკთა სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში კურსი გაიარა 240-მდე მუნიციპალიტეტებში დასაქმებულმა სოციალურმა მუშაკმა. სამინისტროს ორგანიზებით ინტეგრირებული კლასების 70-მდე სპეციალისტმა გაიარა გადამზადება რთული ქცევის მართვის მიმართულებით - „პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი გეგმა და „სექსუალური ქცევის მართვა აუტიზმის სპექტრის მოსწავლეებში".

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, თუმცა აღნიშნავს რომ იგი სრულყოფილად ვერ ფარავს საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებას, შესაბამისად მას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ო) უზრუნველყოს ქცევის პოზიტიური მართვის ხელშემწყობი პროგრამების/მომსახურებების შემუშავება და სკოლებში განხორციელება

საანგარიშო პერიოდში, მანდატურის სამსახურის მიერ შემუშავდა და საპილოტე სკოლებში ინერგება მიდგომა „აქ და ამჟამად" (mindfulness), რომელიც დაეხმარება პედაგოგებს პოზიტიური აზროვნებისა და ცნობიერების ფორმირების დასწავლასა და პრაქტიკაში გამოყენებაში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ ფუნქციონირებაში. ასევე, შემუშავდა სასიცოცხლო კრიზისების ინტერვენციის მიდგომა, რომლის დანერგვა დაიწყება სასკოლო ჩარევის დროს საპილოტე სკოლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამები დიდწილად არ არის დანერგილი სკოლებში, დავალება ვერ შეფასდება სრულყოფილად შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

პ) უზრუნველყოს უკუკავშირი სკოლების მიერ ჩატარებულ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგთან (მათ შორის, სკოლების მიერ წარდგენილ დასკვნებთან) დაკავშირებით

სამინისტროს ინფორმაციით, 2019-2020 სასწავლო წლის ბოლოს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი განახორციელა ყველა საჯარო სკოლამ (1398 სკოლა), რომელშიც ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სამინისტროს მიერ განხორციელდა წარმოდგენილი შიდა მონიტორინგის დასკვნების ანალიზი. შემუშავდა და ყველა სკოლას მიეწოდა რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ შიდა მონიტორინგის წარმოების პროცესში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჟ) ინკლუზიური განათლების გარე მონიტორინგი უფრო ხშირად (არანაკლებ სემესტრში ერთხელ) ჩაატაროს, გარე მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული საჭიროებების სიღრმისეული შესწავლა, დოკუმენტაციის ანალიზი და გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა;

საქართველოს პარლამენტის მიერ მითითებული ინტენსივობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ ჩაუტარებია განათლების გარე მონიტორინგი, შესაბამისად დავალება არ ფასდება შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

რ) ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ შშმ, სსსმ მოსწავლეთათვის მათი საჭიროებების შესაბამისად გარე და შიდა ინფრასტრუქტურის, აგრეთვე სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას

საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ გაუწევია ზედამხედველობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შშმ, სსსმ მოსწავლეთათვის მათი საჭიროებების შესაბამისად გარე და შიდა ინფრასტრუქტურის, აგრეთვე სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ს) ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებას

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ გაუწევია ზედამხედველობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, ინკლუზიური განათლების დანერგვის/ განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ტ) ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მშობლებთან ინკლუზიური განათლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა უფლებების, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებზე, მათ შორის, ძალადობის სახეებთან და შედეგებთან, ფსიქოლოგიური ინტერვენციის მნიშვნელობასთან და პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საინფორმაციო შეხვედრების გამართვას

პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი „Friendly school - ისინი ჩვენს შორის არიან", რომლის ფარგლებშიც მოხდა სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრების პროფესიული გაძლიერება. პროექტის ფარგლებში მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლების სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან ჩატარდა 14 საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია

უ) ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) დაქირავებას;

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის, აგრეთვე უწყების მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დადგინდა, რომ სამინისტრო უწევდა ზედამხედველობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) დაქირავების პროცესს.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია

ფ) ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ ჩატარებას, შიდა მონიტორინგის პროცესში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული ხარვეზების სრულყოფილად გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას [32]

2019-2020 სასწავლო წლის ბოლოს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი განახორციელა ყველა საჯარო სკოლამ (1398 სკოლა), რომელშიც ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყების მიერ განხორციელდა წარმოდგენილი შიდა მონიტორინგის დასკვნების ანალიზი.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია

ქ) ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების ენების სკოლებისთვის მულტილინგვური სწავლების მოდელის შემუშავებასა და დანერგვას, ორენოვანი მასწავლებლების მომზადებასა და გადამზადებას, ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებას და სასწავლო მასალების შექმნას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის, აგრეთვე უწყების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ სამინისტროს საანგარიშო პერიოდში არ განუხორციელებია ისეთი საქმიანობა, რაც დავალების ნაწილობრივ შესრულებას გამოიწვევდა. მულტილინგვური სწავლების მოდელის და ორენოვანი მასწავლებლების

[32] „ რ"-„ფ" დავალებები , სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო ერთი რეკომენდაციის სახით.

მომზადების/გადამზადების, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავების მიმართულებით არსებითი პროგრესი საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ღ) დაიწყოს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნისა და გამოცემის და ამ სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფის პროცესი

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად I-VII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები ნათარგმნია და 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე მიწოდებულია ყველა საჯარო სკოლებში. მიმდინარეობს VIII კლასის სახელმძღვანელოების თარგმნა. სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს სამინისტროს მიერ აღნიშნული დავალების შესასრულებლად გაღებულ ძალისხმევას, თუმცა აღნიშნავს, რომ VIII კლასის ზემოთ, სახელმძღვანელოების მომზადების პროცესი ამ დრომდე არ დაწყებულა, შესაბამისად დავალების შესრულების მდგომარეობა შესრულებულად ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ყ) დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და შესაბამის საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის უზრუნველსაყოფად

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ დაუწყია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და შესაბამის საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის უზრუნველსაყოფად

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

შ) ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მოღვაწეებისა და შემოქმედებითი ჯგუფების (ანსამბლების, თეატრებისა და სხვათა) კონცერტებისა და შემოქმედებითი საღამოების მოწყობას საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა რეგიონში, ამასთანავე, გააძლიეროს ქვეყნის შიგნით სტუდენტთა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები

ჩ) ხელი შეუწყოს ქართული კულტურის ცნობილი და პოპულარული შემოქმედებითი ჯგუფების (ანსამბლების, თეატრებისა და სხვათა) გასტროლების, კერძოდ, სპექტაკლების, კონცერტებისა და შემოქმედებითი საღამოების მოწყობას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქმიანობა განსახილველი დავალებების შესრულების პროცესში, პოზიტიურად ფასდება.

უწყების დაფინანსებით და მხარდაჭერით მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ განხორციელდა პროექტები „კულტურა საზღვრებს გარეშე", რომლის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 6 ღონისძიება.

2020 წლის პირველ ნახევარში სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრმა, რეკომენდაციების დაცვით, ღია სივრცეებში, გასტროლები გამართა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

6 მარტიდან 25 სექტემბრამდე დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა 80-ზე მეტი აქტივობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ასახული „შ" და „ჩ" დავალებები შესრულებულია</u>

ცა) გააგრძელოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის პროცესი და დაიწყოს ამ ძეგლების კონსერვაცია და რესტავრაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ საანგარიშო პერიოდში, კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ყოფილ რუსულ სკოლას და ასპინძის მუნიციპალიტეტში მდებარე „მაჰმადიანური სამაროვანი I"-ს ასევე „მაჰმადიანური სამაროვანი II" -ს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაციის, კონსერვაციის და რესტავრაციის მიმართულებით, უწყებას კონკრეტული საქმიანობა არ განუხორციელებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ძ) მუნიციპალიტეტების ორგანოებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში (სოფლებში და სხვ.) ხელი შეუწყოს კულტურის სახლებისა და კულტურის ცენტრების საქმიანობას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სამინისტროს დაფინანსებით მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ განხორციელდა პროექტები „კულტურა საზღვრებს გარეშე", რომლის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 6 ღონისძიება. ხოლო 6 მარტიდან 25 სექტემბრამდე დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა 80-ზე მეტი აქტივობა.

მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სახალხო დამცველი ვერ შეაფასებს დავალების შესრულების მდგომარეობას, რადგან არ იკვეთება ეროვნული უმცირესობებით

კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში (სოფლებში და სხვ.) უშუალოდ თავად კულტურის სახლებისა და ცენტრების მიერ განხორციელდა თუ არა რაიმე საქმიანობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასება</u>

წ) ხელი შეუწყოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაფორმალური განათლების პროექტებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის, ასევე უწყების მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ უწყება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან განათლების სისტემის გაუმჯობესების და განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით, რათა განათლების ფუნდამენტური უფლების რეალიზების შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

პროგრამის „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება“ ფარგლებში დახმარება გაეწია გალისა და ახალგორის რაიონების ტერიტორიებზე მცხოვრებ 1100-ზე მეტ ბენეფიციარს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ჭ) აღადგინოს საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში მყოფი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ქართული ენის სწავლება, ხოლო სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შესთავაზოს ქართული ენის სასწავლო პროგრამები

საანგარიშო პერიოდში, ახალი კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ობიექტურად ვერ შეძლებდა აღნიშნული დავალების შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: ობიექტური მიზეზების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ხ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის შეიმუშაოს სტიპენდიით ან საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა, რათა მათ შესაბამისი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სწავლის უნივერსიტეტში გაგრძელება შეძლონ;

საანგარიშო პერიოდში, გაიცა დიმიტრი გულიას სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომელიც სწავლობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომელიც სწავლობდა ცხინვალის რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული ჰქონდათ მაღალი საგრანტო ქულები. სტუდენტები

ფინანსდებიან სასწავლო წლის პერიოდში 10 თვის განმავლობაში, თვეში 300 ლარის ოდენობით. ასევე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებულ სტუდენტურ საცხოვრებლებში გამოყოფილია შესაბამისი კვოტა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სტიპენდიების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა საჭიროებს არსებით გაუმჯობესებას, სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჯ) არსებულ სტუდენტურ საცხოვრებლებში გამოყოს შესაბამისი კვოტა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის, აგრეთვე გააგრძელოს ახალი სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობის პროექტზე მუშაობა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში არსებულ სტუდენტურ საცხოვრებელში არის გამოყოფილი შესაბამისი კვოტა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ახალი სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა, საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

ჰ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, დროულად და ეფექტიანად განახორციელოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრული ღონისძიებები, მათ შორის, უზრუნველყოს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება

2020 წლის განმავლობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოების გამო გაცემულია 152 გაფრთხილება, ხოლო გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობის გათვალისწინებით, შედგა 26 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა ტოვებს მეტი ინტენსივობის მოლოდინს, იმდენად რამდენადაც, აპარატის ინფორმაციით, კულტურული ძეგლის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის იმაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე აღნიშნულზე რეაგირება ხდება, შესაბამისად სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობას ვერ ექნება ეფექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის პრევენციის მიმართულებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ 8 დავალება გაიცა.

შესაფასებელი 8 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- შესრულდა: 1
- არ შესრულდა: 2
- ნაწილობრივ შესრულდა: 1
- ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას:1
- ადრესატი უწყების ცვლილების გამო არ ექვემდებარება შეფასებას:1
- რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილება: 1
- ობიექტური საფუძვლით შეფასებას არ ექვემდებარება: 1

საქართველოს განათლების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:





საპარლამენტო დავალებები:

ა) დროულად მოამზადოს სახელმძღვანელო დოკუმენტი სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად/შესამცირებლად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი გაცემული დავალება, 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, დროულად მოამზადოს შესაბამისი კანონის პროექტი“*

სახალხო დამცველმა სამინისტროს კანონის პროექტის შემუშავების აუცილებლობისკენ მოუწოდა, ხოლო საქართველოს პარლამენტმა, შეცვალა რეკომენდაციის შინაარსი, და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ბ) მოახდინოს „სამრეწველო ემისიების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის ინიცირება (პროექტი საქართველოს პარლამენტს წლის განმავლობაში წარუდგინოს);

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ დრომდე არ წარუდგენია პარლამენტში „სამრეწველო ემისიების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა ყველა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისთვის, რომლებიც საკუთარი წყალმომარაგების სისტემით სარგებლობენ, განისაზღვროს სასმელი წყლის ვარგისობის შემოწმების წესი და მისი ლაბორატორიული კვლევის სიხშირე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, არ განხორციელებულა ისეთი საქმიანობა რაც დავალების შესრულებას უზრუნველყოფდა. კერძოდ არ გაზრდილა ლაბორატორიული კვლევის სიხშირე და არც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

დ) დროულად უზრუნველყოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყოფა და განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოსავლენად და აღნიშნულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად საჭირო საკანონმდებლო ღონისძიებები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ წარმოუდგენია ინფორმაცია აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად მისი შესრულების მდგომაროება არ ექვემდებარება შეფასებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ე) „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებაში შეიტანოს ცვლილება, რომლითაც მკაფიოდ

განისაზღვრება ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული 500-მეტრიანი მანძილის გამოთვლის კრიტერიუმები [33]

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, აღნიშნული რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას. პარლამენტის დადგენილებით შეიცვალა ადრესატი უწყება და დავალება მიემართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი უკვე მოამზადა, იგი მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს მასში ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, უწყების მიერ განხორციელებული პოზიტიური საქმიანობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის მიერ, რეკომენდაციის ადრესატი უწყების ცვლილებამ შეუძლებელი გახადა დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაციის ადრესატი უწყების ცვლილების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

3) შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების მაჩვენებლის (ზუსტი მონაცემის) განსაზღვრის მეთოდოლოგია და ამ მაჩვენებლის შეფასების სტანდარტი [34]

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების მაჩვენებლის (ზუსტი მონაცემის) განსაზღვრის მეთოდოლოგია და ამ მაჩვენებლის შეფასების სტანდარტი განისაზღვრება „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად მისაღებ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, შესაბამისად ამ დროისთვის სახელმწიფო უწყება ობიექტური გარემოებების გამო მოკლებულია შესაძლებლობას შეასრულოს დავალება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალებაობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

---

[33] აღნიშნული რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მისი განხორციელება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა.

[34]აღნიშნული რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მისი განხორციელება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა.

ზ) უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (მათ შორის, მონიტორინგის სადგურების რაოდენობის გაზრდა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი რესურსების გამოყოფით[35]

საქართველოს მთავრობისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად გაუმჯობესებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა, კერძოდ პროაქტიულად ტარდება რამდენიმე ქალაქში შესაბამისი შემოწმება, ასევე გაუმჯობესდა სადგურების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები. აღნიშნულის მიუხედავად ნეგატიურად უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ არ გაზრდილა სადგურების რაოდენობა. შესაბამისად სახალხო დამცველი დავალებას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

თ) დადგენილი ნორმების შეუსაბამო ხარისხის საწვავის მიწოდების მონიტორინგის განხორციელებისას უზრუნველყოს საავტომობილო დიზელისა და ბენზინის სინჯების აღება და მათში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ყველა ნივთიერების მოცულობითი წილის შეფასება.

საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით 29 ავტოგასამართი სადგურიდან აიღეს 92 ერთეული საწვავის სინჯი, მათ შორის 43 ერთეული დიზელისა და 49 ერთეული საავტომობილო ბენზინის საწვავის სინჯი და ჩატარდა შესაბამისი კვლევები. ასევე, დამატებით 2020 წლის მაისში, ქვეყნის მასშტაბით, 251 ავტოგასამართი სადგურიდან აიღეს 252 ერთეული რეგულარის მარკის ბენზინის საწვავის სინჯი, რომელიც შემდგომი კვლევისათვის გაიგზავნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. სახალხო დამცველი პოზიტურად აფასებს სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებულ საქმიანობას და დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

გააგრძელოს მოლაპარაკებების წარმოება ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ უზრუნველყოს საერთაშორისო დამკვირვებლების სრული და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში განხორცილებულ საქმიანობას და დავალებას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება დავალება შესრულებულია</u>

---

[35] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, ფინანსთა სამინისტროს მიმართ 2 დავალება გაიცა.

საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

- არ შესრულდა: 1
- რეკომენდაციის ტექსტის არსებითი ცვლილება: 1

საგულისხმოა, რომ გასულ წელს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გაიცა 4 დავალება, რომელთაგან 3 ადრესატი უწყების ცვლილების გამო ვერ შეფასდა, ხოლო შესაფასებელი ერთი დავალება არ შესრულებულა

საპარლამენტო დავალებები:

ა) დახვეწოს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებისა და საგადასახადო სისტემები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, მიემართებოდა საქართველოს მთავრობას და წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„შეიცვალოს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრაქტიკა. სახალხო დამცველთან, რელიგიათა საბჭოში შემავალ, ასევე, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწოუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნებს უპასუხებს.“* [36]

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას და მიზნად ისახავდა რეკომენდაციაში მითითებული კონკრეტული ინდიკატორების საფუძველზე რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრაქტიკის შეცვლას. საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება არ შეიცავს აღნიშნულ ინდიკატორებს, რომელიც მას სახალხო დამცველის ანგარიშის სულისკვეთებასთან დააკავშირებდა.

---

[36] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ბ) უზრუნველყოს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის ინიცირება, რომლითაც 2021 წლიდან საშემოსავლო გადასახადის შეღავათი ვეტერანების მიმართ გაიზრდება 6 000 ლარამდე (მკვეთრად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების მიმართ – 9 000 ლარამდე) [37]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ სახელმწიფო უწყება არ გეგმავს დავალების შესრულების მიზნით, საკანონმდებლო პროექტის მომზადებას და მის პარლამენტში ინიცირებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიმართ 3 დავალება გაიცა.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სამივე დავალება სრულყოფილად შესრულდა. შედარებისთვის გასულ წელს, უწყებამ ხუთი დავალებიდან სამი სრულყოფილად შეასრულა, ერთი დავალება ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო ერთი არ შეასრულა.

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

საპარლამენტო დავალებები:

[37] რეკომენდაცია მიემართებოდა საქართველოს მთავრობას, ხოლო საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაავალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

ა) უზრუნველყოს, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციისთვის ხელის შესაწყობად შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლების, აქტიური მონაწილეობით

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციისთვის ხელის შესაწყობად სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ბ) აწარმოოს დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (განსაკუთრებით – გალის რაიონში) სკოლების მოსწავლეებისა და ახალგაზრდების მიერ არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობისთვის ხელის შესაწყობად.

სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს სახელმწიფო უწყების საქმიანობას დავალების შესრულების პროცესში და მას შესრულებულად აფასებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

გ) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განახორციელოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები და კამპანიები ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის ფედერაციის) საინფორმაციო არხების გავლენის აღმოსაფხვრელად, აგრეთვე ცალკეული ორგანიზაციებისა და პირების მიერ ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობის საწინააღმდეგოდ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უზრუნველყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება. მათ შორის იყო პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“. აღნიშნული და სხვა პროექტების განხორციელების ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას. სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, თუმცა არსებული მდგომაროებიდან გამომდინარე მეტი აქტივობისკენ მოუწოდებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

საზოგადოებრივი მაუწყებელი

გააძლიეროს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა და ხელი შეუწყოს ამ ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტის ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზაციას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ გაზრდილია ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა, ასევე გადადგმულია ნაბიჯები მედიაპროდუქტის ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის მიზნით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ 1 დავალება გაიცა.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, პარლამენტის მიერ მისთვის მიცემული დავალება შეასრულა. ასევე აღსანიშნავია რომ გასულ წელს გაცემული 2 დავალებიდან შესრულდა-1 და არ შესრულდა ასევე 1 დავალება.

შეიმუშაოს და პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზოს ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენების, სიძულვილის ენის ერთგვაროვანი განმარტებისა და შესაბამისი განცხადებებისგან თავის შეკავების თაობაზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, შემუშავებულია პოლიტიკური გაერთიანებების ქცევის კოდექსი, რაც გულისხმობს სიძულვილის ენის გამოყენებასთან და მისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

მუნიციპალური ორგანოები

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა თვითმმართველი ერთეულების მიმართ 31 დავალება გასცა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მსგავსად, დავალებების შესრულების მდგომარეობა მუნიციპალურ ორგანოებშიც არადამაკმაყოფილებელია. დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, გამოვითხოვეთ ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულებიდან. სამწუხაროდ, 15 მუნიციპალიტეტმა[38] სახალხო დამცველის აპარატის არცერთ წერილს არ უპასუხა. აღნიშულმა თვითმმართველმა ერთეულებმა, სახალხო დამცველის აპარატისგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტს წარუდგინეს ინფორმაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 29 ივნისის N 6679-რს დადგენილებით - „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის

[38] ადიგენის, ასპინძის, ბოლნისის, დუშეთის, თიანეთის, კასპის, ლენტეხის, მესტიის, მცხეთის, ოზურგეთის, საგარეჯოს, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.

შესახებ. მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტები მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება, ვინაიდან მასში ასახული ინფორმაციების საფუძველზე შეუძლებელია დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულების მდგომარეობის შეფასება .

ქვემოთ მომივიხილავთ იმ საერთო ტენდენციებს, რაც მუნიციპალური ორგანოების მიერ მათთვის გაცემული დავალებების შესრულების კუთხით გამოიკვეთა. აღნიშნული ტენდენციები მუნიციპალური ერთეულებიდან მიღებული მონაცემების, ასევე მათ მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვავლინეთ.

მუნიციპალურ ორგანოებს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე დაევალათ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების აღრიცხვა. აღნიშნული დავალება გულისხმობს მუნიციპალიტეტების ვალდებულებას აწარმოონ მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახების პროაქტიული აღრიცხვა. ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ თვითმმართველი ერთეულების ძირითადი ნაწილი პრაქტიკულად არ აწარმოებს ამ სახის აღრიცხვას. ისინი მხოლოდ მოსახლეობის მომართვიანობის შემთხვევაში აღრიცხავენ მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების შესახებ მონაცემებს, რაც ვერ უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულებას, მსგავსი ტენდენცია იკვეთება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების აღრიცხვასთან დაკავშირებითაც. ისევე როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ მხოლოდ მოქალაქეების მიერ სოციალური პროგრამებით სარგებლობისათვის წარდგენილი განცხადებების აღრიცხვას და თავად არ ავლენენ ასეთ ოჯახებს, არ ხდება ამ ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებების და მუნიციპალიტეტში ბავშვთა სიღარიბის დაძლევის მიზნით არსებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე გაცემული ზემოაღნიშნული დავალების მიზანს წარმოადგენს ისეთი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვთა სიღარიბის პრევენციას მუნიციპალიტეტების დონეზე. შესაბამისად, დავალების არსიდან გამომდინარე, უკიდურესად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მიერ მისი შესრულება ბავშვთა ინტერესების დასაცავად ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტებისადმი გაცემულ ისეთ დავალებას, როგორიცაა: *თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებისთვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისა* და *ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვის რისკის მქონე ბავშვების ოჯახებისთვის, მიზნობრივი მომსახურებების მიწოდების* *უზრუნველყოფა,* თვითმმართველი ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციების თანახმად მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არ ყავთ. ტენდენციის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტები არ იძლევიან ინფორმაციას ყავთ თუ არა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვის რისკის

ქვეშ მყოფი ბავშვები. მუნიციპალიტეტები არ აღრიცხავენ ასევე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებსაც, შესაბამისად ვერ/არ უზრუნველყოფენ სათანადო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას ყველა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ბავშვისთვის. სახალხო დამცველის აპარატის მიერ თვითმმართველ ერთეულებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მუნიციპალური ერთეულებიდან მოწოდებული ინფორმაციისგან განსხვავებული მდგომარეობა იკვეთება კერძოდ, თვითმმართველობებში არსებობენ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ასევე ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, შესაბამისად სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველა თვითმმართველ ერთეულს შეიმუშავოს მიზნობრივი პროგრამები მსგავსი კატეგორიის ბავშვებისთვის. ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიმართულ დავალებებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა თვითმმართველ ერთეულში არსებობს სოციალური პროგრამები ხანდაზმულთათვის, თუმცა მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამები არ არის შემუშავებული ხანდაზმულთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლის საფუძველზე. ხანდაზმულთა საჭიროებები მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში შეისწავლეს.

არქიტექტურული და საზედამხედველოს სამსახურის თანამშრომლები უნივერსალური დიზაინის სტანდარტებისა და პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მხოლოდ ხუთმა მუნიციპალიტეტმა გადაამზადა.[39]

სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და პარლამენტის დავალებების მიზნის სათანადოდ იდენტიფიცირებას. თვითმმართველი ერთეულების დიდ ნაწილს არ ესმის რას ნიშნავს ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების სტატისტიკა და მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარვეზები. მაგალითად, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით გაცემული დავალების შესრულების თაობაზე გვწერს, რომ მუნიციპალიტეტს აქვს შემუშავებული 2018-2023 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც სისტემატიურად აწარმოებს მუნიციპალიტეტის დონეზე ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების სტატისტიკას. ასევე, მუნიციპალიტეტის დონეზე მისაწვდომობის კუთხით არსებული ხარვეზების შესწავლის კუთხით გაცემული დავალების შესრულების თაობაზე, მუნიციპალიტეტი გვწერს, რომ „მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ სრულყოფილად იქნება შესწავლილი მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარვეზები და ასეთის არსებობის შემთხვევაში შემუშავებული იქნება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად“. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალური ერთეულების თანამშრომლებმა სახალხო დამცველის აპარატთან დაამყარონ შესაბამისი კომუნიკაცია, რაც მათ დავალების/რეკომენდაციის მიზნ(ებ)ის

[39] წალკის, ქედის, გურჯაანის, თელავის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები

იდენტიფიცირებაში დაეხმარება. აღსანიშნავია რომ ამის კარგი გამოცდილება ცალკეული თვითმმართველი ერთეულების შემთხვევაში უკვე არსებობს.

პოზიტივის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საჭიროებების სრულყოფილი და კომპლექსური შესწავლა, რომელიც მათ პროგრამებსა და ფინანსურ გეგმებში აისახა.

ზოგადი შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ შენარჩუნებულია თვითმმართველი ერთეულების მიერ შეუსრულებელი დავალებების რაოდენობის დინამიკა და გასულ წელს შეუსრულებელი დავალებების რაოდენობის მსგავსია. თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ შეუსრულებელი დავალებების მიზეზად წელს თვითმმართველი ერთეულები კოვიდ-პანდემიას ასახელებდნენ. ამ კონტექსტში უნდა გამოვყოთ ჭიათურის მუნიციპალიტეტი, რომლის განცხადებით ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მის მიმართ გაცემული არც ერთი დავალება არ შესრულებულა.

სახალხო დამცველის აპარატი გამოთქვამს მზაობას, თითოეული დავალების ან რეკომენდაციის შესრულების პროცესში გაუწიოს დახმარება თვითმმართველ ერთეულებს. თვითმმართველი ერთეულების მიერ, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ წარმოდგენილ დანართში.

შეჯამება

სპეციალურ ანგარიშში შეფასდა პარლამენტის დადგენილებით გაცემული 227 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა.[40] აღნიშნულთაგან დავალებების 20.2% შესრულებულია, 59.9% შეუსრულებელია, ხოლო 17.6% ნაწილობრივ შესრულებული. უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესრულდა დავალებების 2.2%.

აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები ციფრებში შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულებულია: 46 საპარლამენტო დავალება;
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 40 საპარლამენტო დავალება;
- არ არის შესრულებული: 136 საპარლამენტო დავალება;

[40] აღნიშნულ მაჩვენებელში არ მოიაზრება დავალებები, რომელთა შესრულების მდგომარეობა პარლამენტის მიერ განხორციელებული ინტერვენციის გამო არ დაექვემდებარა შეფასებას, ასევე დავალებები რომელთა შესახებ სახალხო დამცველის აპარატს არ მიეწოდა ინფორმაცია და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიმართ გაცემული დავალებები.

- უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს 5 საპარლამენტო დავალების შესრულება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას: 27 საპარლამენტო დავალება;
- უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა: 15 დავალება;
- არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან: 3 დავალება.
- ადრესატი უწყების ცვლილების გამო არ ექვემდებარება შეფასებას: 2 დავალება

აღნიშნული მონაცემები გასულ წელთან შედარებით გაუარესებულია. დინამიკა იხილეთ ქვემდგომ დიაგრამაზე.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმრავლესობა დადგენილებაში ასახა და იგი სახელმწიფო უწყებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო გახადა, აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს უზრუნველყოს შესაბამისი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, რათა პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე სახალხო დამცველი გამოთქვამს მზაობას მუდმივად იყოს ჩართული პროცესში და ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიაროს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.